# სარბიელი

სპორტული გაზეთი — პარასკევი 31 მაისი 2002 №98 (1620) — ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეიდან



# ფეხბურთი მზესთან ერთად

風 本



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორეა-იაპონია 2002 ანონსი. A ჯგუფი. №1

### საფრანგეთი — სენეგალი

31 მაისი. „სეულ უორლდ ქაფ სთადიუმ". 16. 30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| საფრანგეთი | სენეგალი |
|---|---|
| ბარტეზი, ტურამი, დესაი, ლებეფი, ლიზარაზუ, ვიეირა, ე. პეტი, ჯორკაეფი, ტრეზეგე, ანრი, დიუგარი | ტ. სილვა, დაფი, დიატა, ა. სისე, კოლი, ფადიგა, დიაო, პ. დიოპი, მახტარ ნდიაიე, ა. კამარა, დიუფი |
| მწვრთნელი: როჟე ლემერი | მწვრთნელი: ბრუნო მეტიუ |

**მსაჯი: ალი ბუჯსაიმი (საამიროები)**

**კორეის მეტეოროლოგიური სამსახური იუწყება**

დღეს სეულში მოსალოდნელია ღრუბლიანი ამინდი, უნალექოდ. ტემპერატურა: დილით, 15 გრადუსი; შუადღისას, 26 გრადუსამდე

# სადღაა მშვენება
# საფრანგეთი იურულ პერიოდს დაუბრუნდა

**ჩართეთ** ტელევიზორები! დღეს ხუთის ნახევარზე მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება! პირველ შეხვედრაში საფრანგეთი სენეგალს დაუპირისპირდება. ფრანგები ზინედინ ზიდანის გარეშე არიან და მოგებას აპირებენ, რადგან მათი მიზანი ჩემპიონის გვირგვინის შენარჩუნებაა!

„უზიდანოდ პირველად არ ვთამაშობთ — თავს იმხნევებს „ლურჯების" მწვრთნელი როჟე ლემერი — ამაში ახალი არაფერია, თუმცა მნიშვნელოვანი თამაშის წინ წამყვანი ფეხბურთელის გამოკლება ძალიან გამაღიზიანებელია".

„ბაიერნის" მცველი ბიქსენტ ლიზარაზუ: „ჩვენ ზიდანის გარეშეც ძლიერ გუნდად ვრჩებით და წარმატების მიღწევა შეგვიძლია".

და ცხადია, ყველა იგონებს ოთხი წლის წინანდელ ჩემპიონატს, როდესაც „ლურჯებმა" რამდენიმე შეხვედრა „ზიზუს" გარეშე მოიგეს. მაშინ ვარსკვლავი დისკვალიფიცირებული გახლდათ, ხოლო უიმისოდ დარჩენილი ფრანგები ჯერ დანიელებს გაუმკლავდნენ, ხოლო შემდეგ პარაგვაის ნაკრებს.

„ზიდანის ტრავმის საშინელ მოვლენად გადაქცევა და ცხვირის ჩამოშვება სისულელეა — აცხადებს ვეტერანი იური ჯორკაეფი — ჩვენს გუნდში ძალიან ბევრი ვარსკვლავია და მათ ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება შეუძლიათ".

არადა, ზიდანი სულ რამდენიმე დღის წინ გახსნის თამაშის მშვენებად მიაჩნდათ. როდესაც ის იაპონიაში თანაგუნდელებს შეუერთდა, თქვა:

„სენეგალთან უმნიშვნელოვანესი თამაში გველის. ამ მატჩმა მთელი ტურნირის ტონალობა უნდა განსაზღვროს. ამიტომაც გამარჯვებისთვის ყველაფერი უნდა გავიღოთ".

საერთოდ როგორ თამაშობენ ფრანგები პირველ შეხვედრებში? პასუხი: 3:0-ს იგებენ. ასე იყო 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე და ასევე გახლდათ ევრო 2000-ზე. მსოფლიოზე „ლურჯებმა" სამხრეთ აფრიკას აჯობეს, ევროპაზე — დანიას.

მეორე მხრივ, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის შეხვედრა (ზემოთ ჩამოთვლილთაგან ჩემპიონატის გახსნისა ერთიც არ იყო), როგორც წესი, დაძაბული და სანახავად მოსაწყენია. მაგალითად, ოთხი წლის წინ, პარიზში, ბრაზილიელებმა შოტლანდიასთან იჭიდავეს და 2:1 მოიგეს. მანამდე, 1994-ში გერმანია ბოლივიას შეხვდა და 1:0 რის ვაი ვაგლახით მოიგო. ამიტომაც დღეს ფრანგები ასე ამბობენ:



ხალილუ ფადიგას ხელმრუდობამ სენეგალელები ერთ მუშტად შეკრა

„სენეგალელი ფეხბურთელები საფრანგეთის ჩემპიონატში გამოდიან და სხვა აფრიკულ გუნდებზე უკეთ ეხერხებათ მწვრთნელის დავალების შესრულება" — ეს ჯორკაეფის აზრია.

აღსანიშნავია, რომ ზიდანის არყოფნაში გამთამაშებლობას ემანუელ პეტისთან ერთად სწორედ ჯორკაეფი იკისრებს, ხოლო კრისტოფ დიუგარი ფრთაზე უკან დაიხევს.

როჟე ლემერი: „იურიმ დამარწმუნა, რომ როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად საუკეთესო ფორმაშია და ამიტომ სასტარტო შემადგენლობაში მეყოლება".

სენეგალელთა ფრანგი თავკაცი ბრუნო მეტიუ კი შესაძლოა, ნებისმიერ მოთამაშეს დაეყრდნოს. მის განკარგულებაში ბევრი თანაბარძალოვანი ფეხბურთელია, მათ შორის 18-კარატიანი ყელსაბამის ქურდი ხალილუ ფადიგა — ამბავი ფადიგას ხელმრუდობის შესახებ გუშინდელ „სარბიელში" გვეწერა.

ისე კი, ალბათ, მეტიუ მაინც იმ შემადგენლობას გაიყვანს, თებერვალში, აფრიკის თასის ფინალში რომ ჰყავდა.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ ეს გუნდები აქამდე არასდროს შეხვედრიან.

**ბაჩუნა ძიძია**

***მალიკ საი, სენეგალის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:***

ვფიქრობ, ის, რაც ხალილუ ფადიგას შეემთხვა, ძალიან მუქი ფერებით არის გამუქებული საინფორმაციო სააგენტოთა მიერ. ამ საკითხზე დაწვრილებით ლაპარაკი ახლა არ მსურს, რადგან უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის. ისე კი, ხალილუს დასაცავად მთელი გუნდი შეიკრა, რაც კარგი ნიშანია.

***ემე ჟაკე, ფრანგთა 1998 წლის მწვრთნელი-ჩემპიონი:***

ზიდანის არყოფნა მნიშვნელოვნად ცვლის საფრანგეთის ნაკრების სათამაშო ტაქტიკას, რაც საკმაოდ სახიფათო და სამწუხაროა. მით უმეტეს, ჩემპიონატის გახსნის მატჩი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ყოველთვის გამორჩეულია.

მაგრამ დარწმუნებული ვარ, სენეგალელთა დამარცხება უზიდანოდაც შეგვიძლია, მთავარია, დანარჩენი ფეხბურთელები ამ ფაქტმა არ შეაშინოს.





ტიერი ანრი და როჟე ლემერი პატრიკ ვიეირას თავის მომკვდარუნებით ხალისობენ, იური ჯორკაეფი კი ზიდანობისთვის ემზადება

**მსოფლიოს ჩემპიონატების გახსნის მატჩები**

1966
ინგლისი 0:0 ურუგვაი
1970
მექსიკა 0:0 სსრკ
1974
ბრაზილია 0:0 იუგოსლავია
1978
გფრ 0:0 პოლონეთი
1982
ბელგია 1:0 არგენტინა
1986
ბულგარეთი 1:1 იტალია
1990
კამერუნი 1:0 არგენტინა
1994
გერმანია 1:0 ბოლივია
1998
ბრაზილია 2:1 შოტლანდია

*შენიშვნა: მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩის გამართვის წესი 1966 წელს დამკვიდრდა. 1966 და 1970 წლებში ამ მატჩის მონაწილე ჩემპიონატის მასპინძელი იყო, მას მერე კი ეს უფლება მოქმედ მსოფლიოს ჩემპიონს ეძლევა.*

## საფრანგეთი VS სენეგალი

| | | |
|---|---|---|
| პატრიკ ვიეირა (192 სმ) | ყველაზე მაღალი ფეხბურთელი | პაპე ბუბა დიოპი (193 სმ) |
| კლოდ მაკელელე (174 სმ) | ყველაზე დაბალი ფეხბურთელი | სულეიმან კამარა (174 სმ) |
| ულრიხ რამე (85 კგ) | ყველაზე მძიმე ფეხბურთელი | პაპე ბუბა დიოპი (88 კგ) |
| ბიქსენტ ლიზარაზუ (72 კგ) | ყველაზე მსუბუქი ფეხბურთელი | მახტარ ნდიაიე (65 კგ) |
| იური ჯორკაეფი (28 გოლი) | ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი | ელ-ჰაჯი დიუფი (13 გოლი) |
| მარსელ დესაი (93) | ყველაზე მეტი თამაში | ოუმარ დიალო (42) |
| 183 სმ | ფეხბურთელთა საშუალო სიმაღლე | 182 სმ |
| 77.7 კგ | საშუალო წონა | 76.6 კგ |
| 28.84 | საშუალო ასაკი | 25.48 |
| ჯიბრილ სისე (20 წლის) | ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი | სულეიმან კამარა (19 წლის) |
| იური ჯორკაეფი (34 წლის) | ყველაზე ხნიერი ფეხბურთელი | ამარა ტრაორე (36 წლის) |

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური

# ილოცეთ ფეხბურთის ჰანგზე

## ბრაზილიას სექსზე ფიქრს ვერ აუკრძალავ

## კინმა მაკარტის სიმთვრალე გაუხსენა



REUTERS

ბრაზილიაში ქუჩის მხატვრებიც მუნდიალისთვის ემზადებიან

**ოთხი წლის** წინ, ბრაზილიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა, მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ფეხბურთელობაში, მწვრთნელობაში და თანაშემწეობაში, მარიო ზაგალომ, იგივე „მგელმა“ და იგივე „შველმა“, გუნდში მობილური ტელეფონების გამორთვა ბრძანა.

ასე იმიტომ კი არ მოიქცა, რომ ბრაზილიელ ბიჭებს გოგოებთან ლაზღანდარობით არ შეექციათ თავი, არამედ, იმიტომ, რომ აბეზარ აგენტებს ყურები არ გამოეჭედათ ფეხბურთელებისთვის, აქ გადაგიყვან და ამდენს გპირდებიანო.

ლუიშ ფელიპე სკოლარის ნაკრებში ჯერჯერობით მობილურები არ გამოურთავთ, ჰოდა, გუშინ რობერტო კარლოსისთვის იმ კაცს დაურეკავს, ვინც, თურმე, ძალიან ხშირად ურეკავს, თბილად მოიკითხავს და შეაქებს ხოლმე — რობერტო კარლოსისთვის ალექს ფერგიუსონს დაურეკავს, რამდენიმე დღეში მადრიდს ჩავალთ და შენს პატრონებს შევევაჭრებით მთელი სერიოზულობითო. მართალია, „რეალის“ დირექტორმა ხორხე ვალდანომ თქვა, ადამიანის ფანტაზია ამაზე შორს ვერ წავაო, მაგრამ ვაჭრობა ისეთი რამ არის, გარეშე კაცი ძნელად თუ გაერკვევა.

„დიდ ფილს“ კი, თავისი სიმკაცრითა და სიავით განთქმულს, მართლაც ურჩევნია, გუნდში კოსმოსური კავშირები აკრძალოს, თორემ რობერტო კარლოსს კი არა, სანპაულუელ პლეიმეიკერ კაკასაც დაურეკავენ სხვადასხვა სერ ალექსები და რონალდინიოს ხომ დაურეკავენ და დაურეკავენ.

ვარსკვლავთა სრული უმრავლესობა ისედაც ვერაა ხასიათზე და გულის კუნჭულში ბევრი მათგანი როი კინის წამოწითლებულ სახესაც მალავს. აქეთ ტრავმები, იქეთ მომქანცველი სეზონი და ახლა კიდევ ერთთვიანი ყაზარმა გამარჯვების ბუნდოვანი შანსებით.

ამასობაში კი მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება — შეიძლება ითქვას, რამდენიმე საათში. თუმცა, ფრანგთა ნაკრების მთავარი ექიმი მიშელ ფერე ამბობს, ჩემპიონატი ძალიან ადრე იწყებაო. ერთი თვით გვიან რომ დაწყებულიყო, სხვისი არ ვიცი და ჩვენები ბევრად უკეთ მოემზადებოდნენო. ახლა კი რა? ზიზუს ყინულის ნატეხები ადევს ფეხზე და იცქირება იმ თავის მაღრიბულ წარბებს ქვემოდან.

კვირას ინგლისის ტერიტორიაზე სათუოა საკვირაო წირვის ჩატარება, რადგან შვედებთან მატჩის ტელერეპორტაჟი დილის რვის ნახევარზე იწყება და მრევლის უმეტესობა, დიახაც რომ, ტელეეკრანთან დარჩება. ვინც არ დარჩება და ის წირვას არა საეკლესიო მუსიკის, არამედ ბი-ბი-სი-ს პოპულარული საფეხბურთო გადაცემის „დღის მატჩის“ ჰანგების თანხლებით მოისმენს. ინგლისში დროებით შეიცვალა ლუდხანებში ლუდის გაყიდვის რეჟიმიც, ინათებს თუ არა, ჩამოგისხამენ.

ამასობაში კი, შვედები ღელავენ, რადგან მაინცდამაინც ახლა დაშავებიათ გიჟმაჟი ფრედი ლიუნგბერგი, რომლის ჯანის სიმრთელის ამბავსაც საგულდაგულოდ მალავენ. ლიუნგბერგისთვის ჩაგანგებოდ მოუბოდიშებია მის თანაგუნდელ ოლოფ მელბერგს, რომელმაც ვარჯიშისას კინაღამ ფეხი მოტეხა დაუნდობელი ვარდნით. ის ვარდნა ამ ტრავმასთან კავშირში არაა, მაგრამ ბოდიში მაინც დროული იყო.

სამაგიეროდ, არაფრით მოიბოდიშა ირლანდიელთა აწ უკვე ყოფილმა კაპიტანმა როი კინმა, რომელმაც ერთი ძველი ამბავი გაიხსენა:

რვა წლის წინ ახლანდელი მენეჯერი მიკ მაკარტი ნაკრების კაპიტანი იყო და ვარჯიშზე მთვრალი გამოცხადდა, მე ჩემებურად შევახურე, მან კი ბოლომა გულში ჩაიდოო. მოკლედ, ირლანდია ერთადერთი გუნდი იქნება, რომელიც ძველებურად, ოცდაორი კაცით იბრძოლებს მსოფლიოს თასზე, რადგან განაცხადში ფეხბურთელის შეცვლა მხოლოდ ტრავმის გამო შეიძლება.



REUTERS

მარსელო ბიელსამ შეგირდებს შავი დღე აყარა

და კვლავ „დიდი ფილი“, რომელმაც გუშინწინ ბრაზილიელ ჟურნალისტებზე წაიწია. სკოლარი თავის ქვეყანაში არ უყვართ, განსაკუთრებით კი მედიის წარმომადგენლებს, რომლებიც ამბობენ, რომ მართალია, გუნდში ჯერ მობილური ტელეფონები არ გამორთულა, მაგრამ სასტიკად აიკრძალა სექსიო. სექსი კი აიკრძალა, მაგრამ სექსზე ფიქრს „დიდი ფილი“ კი არა, უფრო დიდი ვინმეც ვერ აკრძალავსო, წერენ ბრაზილიელი ჟურნალისტები, ფეხბურთელთა ჩემოდნები პორნოჟურნალებითაა გაძეძგილიო.

„თქვენ საზიზღარი მატყუარები ხართ და გუნდს ფსიქოლოგიურად ანგრევთ“ — ყვირის სკოლარი.

„დიდ ფილს“ გიჟს კი უწოდებენ, მაგრამ მეტსახელად გიჟი მაინც ვერ შეერქვა. „ელ ლოკო“, ანუ გიჟი, სულ სხვა მწვრთნელის, არგენტინელი მარსელო ბიელსას მეტსახელია. ეს არის ძალიან მკაცრი და ხისტი კაცი, რომელმაც ამ კვირაში ნამდვილი საშინელი სამსჯავრო გაუმართა თავის ფეხბურთელებს. არგენტინელთა პირველმა და მეორე შემადგენლობამ, უბრალოდ, გამახურებელ მატჩებში ერთი გოლიც კი ვერ გაუტანა „ფკ ტოკიოსა“ და „ვეგალტა სენდაის“.



REUTERS

ლუიშ ფელიპე სკოლარი რონალდინიოს, რობერტო კარლოსისა და ჟუნინიოს ყურადღების ტრანსფერ-სექსიდან ფეხბურთზე გადატანას ლამობს

არგენტინა მსოფლიოს თასის უპირველესი ფავორიტია და კილი გონსალესიც არაჩვეულებრივი სიზუსტით აცხადებს: „ერთადერთი, რამაც არგენტინელთა სახეებზე შეიძლება ღიმილი დაგვანახოს, ჩვენი ჩემპიონობაა“.

დიახ, ტანჯული და გალატაკებული არგენტინა, რომელმაც ნაკრების მწვრთნელსაც ვერ გადაუხადა ხელფასი, დიდი გამარჯვების მოლოდინშია და ფეხბურთელთა განწყობაც, შუა კვირის უგერგილობის მიუხედავად, ტრადიციულად საბრძოლოა.

ამაყად დაადგა ფეხი კორეის მიწას პარაგვაელთა კაპიტანმა ხოსე ლუის ჩილავერტმა, რომელსაც რვა გოლი გაუტანია, როგორც ნაკრების მეკარეს. პლეი ოფის დილიხორი მაქვს, თუნდაც იმიტომ, რომ მწყრთნელად დიადი ჩეზარე მალდინი მეგულებაო, თქვა ამ მთაკაცმა.



REUTERS

ხოსე ლუის ჩილავერტი მსოფლიოს დაემუქრა

მოკლედ, ჩემპიონატი იწყება. დღეს, სეულში ორი ფრანგულად მოლაპარაკე გუნდი შეხვდება ერთმანეთს. გახსნის თამაში გახსნის თამაშია და მეტი არაფერი. მართალია, უკეთესი იქნებოდა, ეს დიდი შეჯიბრი ცოტა გვიან დაწყებულიყო, მაგრამ ისიც ძალიან კარგია, რომ ადრე იწყება. ძაან სანახაობა იქნებაო, გვარწმუნებს ფრანც ბეკენბაუერი. დავუჯეროთ. და მივეჩვიოთ დილიდან თამაშების ყურებას.

## გვიგულეთ თქვენს სამსახურში!

### საგანგებო ლოზუნგი: ერიდეთ იაპონელ სამართალდამცავებთან ჩხუბს!



# მსოფლიო ჩემპიონატის სტადიონები (იაპონია)



„იბარაკი კაშიმა სოკერ"
ტევადობა 42 000

2 ივნისი
არგენტინა — ნიგერია
5 ივნისი
გერმანია — ირლანდია
8 ივნისი
იტალია — ხორვატია



„კობე ვინგ";
ტევადობა
42 000

5 ივნისი
რუსეთი — ტუნისი
7 ივნისი
შვედეთი — ნიგერია
17 ივნისი
მერვედფინალი



„მიიაგი სთედიუმ";
ტევადობა 49 000

9 ივნისი
მექსიკა — ეკვადორი
12 ივნისი
შვედეთი — არგენტინა
18 ივნისი
მერვედფინალი



„ნიიგატა სთედიუმ ბიგ სუან"
ტევადობა 42 300

1 ივნისი
ირლანდია — კამერუნი
3 ივნისი
ხორვატია — მექსიკა
15 ივნისი
მერვედფინალი



„ოიტა სთედიუმ ბიგ აი"
ტევადობა 43 000

10 ივნისი
ტუნისი — ბელგია
13 ივნისი
მექსიკა — იტალია
16 ივნისი
მერვედფინალი



ოსაკა
„ნაგაი სთედიუმ"
ტევადობა 47 000

12 ივნისი
ნიგერია — ინგლისი
14 ივნისი
ტუნისი — იაპონია
22 ივნისი
მეოთხედფინალი



„საიტამა სთედიუმ"
ტევადობა 63 700

2 ივნისი
ინგლისი — შვედეთი
4 ივნისი
იაპონია — შვედეთი
6 ივნისი
კამერუნი — საუდეთი
26 ივნისი
ნახევარფინალი



„საპორო დომი"
ტევადობა 42 000

1 ივნისი
გერმანია — საუდეთი
3 ივნისი
იტალია — ეკვადორი
7 ივნისი
არგენტინა — ინგლისი



„შიზუოკა ეკოპა"
ტევადობა 50 600

11 ივნისი
კამერუნი — გერმანია
14 ივნისი
ბელგია — რუსეთი
21 ივნისი
მეოთხედფინალი



„ინტერნეიშენელ სთედიუმ იოკოჰამა"
ტევადობა 70 000

9 ივნისი
იაპონია — რუსეთი
11 ივნისი
საუდეთი — ირლანდია
13 ივნისი
ეკვადორი — ხორვატია
30 ივნისი
ფინალი

# მსოფლიო ჩემპიონატის სტადიონები (კორეა)



„დეგუ
უორლდ კაპ
სთედიუმ"
ტევადობა 65 857

6 ივნისი
დანია — სენეგალი
8 ივნისი
ს. აფრიკა — აშშ
29 ივნისი
მატჩი მე-3
ადგილისთვის



„დეჯეონი
უორლდ კაპ
სთედიუმ"
ტევადობა 41 000

12 ივნისი
ს. აფრიკა — ესპანეთი
14 ივნისი
პოლონეთი — აშშ
18 ივნისი
მერვედფინალი



„გვანგჯუ
უორლდ კაპ
სთედიუმ"
ტევადობა 43 121

2 ივნისი
ესპანეთი — სლოვენია
4 ივნისი
ჩინეთი — კოსტა რიკა
22 ივნისი
მეოთხედფინალი



„ინჩეონი მუნაკ
სთედიუმ"
ტევადობა 52 179

9 ივნისი
კოსტა რიკა — თურქეთი
11 ივნისი
დანია — საფრანგეთი
14 ივნისი
პორტუგალია — კორეა



„ჯეონჯუ
უორლდ კაპ
სთედიუმ"
ტევადობა 42 391

7 ივნისი
ესპანეთი — პარაგვაი
10 ივნისი
პორტუგალია — პოლონეთი
17 ივნისი
მერვედფინალი



სეოგვიპო
„ჯეი უორლდ
კაპ სთედიუმ"
ტევადობა 42 256

8 ივნისი
ბრაზილია — ჩინეთი
12 ივნისი
სლოვენია — პარაგვაი
15 ივნისი
მერვედფინალი



„სეულ
უორლდ კაპ
სთედიუმ"
ტევადობა 64 677

31 მაისი
საფრანგეთი — სენეგალი
13 ივნისი
თურქეთი — ჩინეთი
25 ივნისი
ნახევარფინალი



„სუვონ
უორლდ კაპ
სთედიუმ"
ტევადობა 43 188

5 ივნისი
აშშ — პორტუგალია
1 ივნისი
სენეგალი — ურუგვაი
13 ივნისი
კოსტა რიკა — ბრაზილია
16 ივნისი
მერვედფინალი




„ულსან მუნსუ
სთედიუმ"
ტევადობა 43 550

1 ივნისი
ურუგვაი — დანია
3 ივნისი
ბრაზილია — თურქეთი
21 ივნისი
მეოთხედფინალი



„პუსან
სთედიუმი"
ტევადობა 54 534

2 ივნისი
პარაგვაი — ს. აფრიკა
6 ივნისი
საფრანგეთი — ურუგვაი
4 ივნისი
კორეა — პოლონეთი





რუდი ფიოლერს მიხეილ ბალაკის იმედება

# საწყენია, მაგრამ სასარგებლოა

## ფიოლერი ბალაკს უზურთოდ ენდობა

**ტრავმებით** ისედაც გაწამებულ გერმანიის ნაკრებს საუდის არაბეთთან საპირველმატჩოდ კიდევ ერთი ფეხბურთელი, ბერლინის „ჰერტას" მცველი მარკო რემერი დაუშავდა. 28 წლის რემერს კუნთის ტრავმა კარგა ხანია აწუხებდა და ამისლაკვალად ბუნდესლიგაში სამი თვეც გააცდინა, საჩემპიონატოდ თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მიაძაკის ახალგაზრდულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრისას ტრავმამ თავი შეახსენა და საუდელებთან მატჩს სათადარიგოთა სკამიდან უყურებს.

სამაგიეროდ, სასტარტოში აუცილებლად იქნება ბუნდესნაკრების ლიდერი, უკვე ბაიერნელი მიხაელ ბალაკი. მას მარჯვენა ფეხის ტკივილი ისევ აწუხებს და ბოლო დღეებში უბურთოდ ვარჯიშობს, მაგრამ საუდელებს მაინც შეერკინება: „ახლა თავს გაცილებით უკეთ ვგრძნობ, პატარა შესვენება აშკარად წამალგა" — თქვა ბალაკმა.

„კიკერის" ვერსიით, ბუნდესმწვრთნელი რუდი ფიოლერი 3-5-2 ტაქტიკურ სქემას აირჩევს. რემერის ადგილს დაცვის მარჯვენა ფრთაზე კრისტოფ მეცელდერი დაიკავებს, მარცხნივ თომას ლინკეს გაამწესებენ, ხოლო ცენტრში დიტმარ ჰამანი ითამაშებს. საყრდენი კარსტენ რამელო იქნება. ტორსტენ ფრინგსი და კრისტიან ციგე ნახევარდაცვის ფრთებს აითვისებენ, ბერნდ შნაიდერი და ბალაკი კი პლეიმეიკერობაში შეენაცვლებიან ერთმანეთს. თავდასხმაში ფიოლერი მიროსლავ კლოზესა და კარსტენ იანკერის გამწესებას ფიქრობს.

გერმანელთა კაპიტანი ოლივერ კანი იმედიანადაა და მიაჩნია, რომ გერმანელები ურწმუნოთ სიურპრიზს შესთავაზებენ: „ტრავმების ამბავი საწყენია, მაგრამ ვითარებას ნუ დავამძიმებთ, ჩვენ კვლავაც მებრძოლი შემადგენლობა გვყავს და წარმატების მიღწევას უმთავრესად გუნდური თამაშის ხარჯზე ვეცდებით — ამბობს კანი — მართალია, დღეს მსოფლიო კლასის ფეხბურთელები არ გვყავს, მაგრამ ბიჭები ბრძოლის ჟინით არიან ანთებულნი. კარგია, რომ ფავორიტებად არ მიგვიჩნევენ, ეს ჩვენთვის დამატებითი სტიმულია და ვფიქრობ, ქომაგებს სიურპრიზსაც შევთავაზებთ".

გერმანია — საუდეთის მატჩი იაპონური საპოროს მართლაც 21-ე საუკუნის სტადიონზე გაიმართება.

**სოლომონ გულისაშვილი**

# ირლანდიას ჰელი არ მისცეს



კოლინ ჰელიმ როი კინის 6-ნომრიანი სანაკრებო მაისურა ვერ მოირგო

**ირლანდიელებს** უნდოდათ ნაკრებიდან მოკვეთილი კაპიტნის, როი კინის ნაცვლად სამსოფლიოსჩემპიონატო განაცხადში სელტიკელი კოლინ ჰელი შეეყვანათ, მაგრამ გუშინ ფიფამ მათ ოფიციალური უარი შეუთვალა. ფიფას პრეზიდენტის, კეიტ კუპერის თქმით, ჰეილი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდებოდა ირლანდიელთა ბანაკს, თუ შეცვლის მიზეზი კინის ტრავმა იქნებოდა, მაგრამ ასეთი რამ არ მომხდარა და ჩვენც წესის თანახმად მოვიქეცითო.

შეგახსენებთ, რომ ირლანდიელთა 23-კაციანი განაცხადი ერთით მას შემდეგ შემცირდა, როცა კინი მწვრთნელ მიკ მაკარტის წაეკიდა და სამშობლოში გაემგზავრა. ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციაში ამბობენ, ფიფას ასეთ გადაწყვეტილებას ველოდით, თუმცა ჩვენი მაინც ვცადეთო: „გვეგონა, ამ შემთხვევას როგორც საგანგებოს, ისე განიხილავდნენ, მაგრამ რა გაეწყობა, საწყენია, რაც მოხდა" — ამბობს ასოციაციის პრეზიდენტი ბრენდან მაკენა.

მოკლედ, ირლანდია მუნდიალზე ერთადერთი კაცნაკლული გუნდი იქნება.

**სოლომონ გულისაშვილი**

# არის! საუკუნის გოლი!

## მარად მარადონა

**ფიფამ** თავის ვებ-გვერდზე ინტერაქტიული გამოკითხვა მოაწყო — რომელია, მსოფლიოს ჩემპიონატებზე გატანილი საუკეთესო გოლიო.

დროში ცოტა უკან დავბრუნდეთ და გავიხსენოთ 2000 წლის ფიფას გალადაჯილდოვება, რომელზეც მსოფლიოს ფეხბურთის მამებმა მსოფლიოს საუკუნის ფეხბურთელი დაასახელეს. მაშინ ასე იყო: ფიფას ჩინოსნებმა პელე ამჯობინეს, საინტერნეტო გამოკითხვამ კი მარადონას სახელი ამოაგდო. ფიფა დაიბნა, რაკი საუკეთესოდ პელე ჰყავდა შერჩეული, ჯილდოს გიჟმაჟი კოკაინისტისთვის გაყოფა არ უნდოდა, მაგრამ თითზე კბენა გვიანღა იყო — ვინ ექაჩებოდა, საინტერნეტო გამოკითხვას რომ აწყობდა. ისიც გეხსომებათ, დიეგო არმანდომ ფიფელებს უგუნებობა რომ შეატყო, დემარში მოაწყო და კინაღამ ცერემონიალიც ჩაშალა.



ეს ძველი ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ ფიფას მორიგ გამოკითხვაში, რომლის მიზანზეც თავში მოგახსენეთ, კვლავ მარადონამ გაიმარჯვა. 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში ინგლისელთათვის გატანილმა მისმა მეორე გოლმა 18062 ხმა მიიღო. 10631-მა საფეხბურთო გურმანმა წინა ჩემპიონატზე მაიკლ ოუენის არგენტინისთვის გატანილი გოლი ამჯობინა, პელე კი მესამე ადგილზე გავიდა, შორეულ 1958 წელს შვედთათვის გატანილი გოლით. მეოთხე ადგილზე ისევ მარადონაა, იმავ 1986 წელს ბელგიისთვის ნახევარფინალში გატანილით.

ისე კაცმა რომ თქვას, პელეს ორმოცდაოთხი წლის წინანდელი გოლი თითოოროლას თუ უნახავს და ახსოვს, მაგრამ მარადონას გოლი რომ დიდებული იყო, საკამათო არ არის — დიეგომ საკუთარი ნახევრიდან დაიწყო და პიტერ შილტონის კარამდე მთელი ინგლისის ნაკრები ცეკვა-ცეკვით ჩამოიტოვა.

ეს ის გოლია, რომლამდეც სამი წუთით ადრე დიეგო არმანდომ „ღვის ხელით" გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

# წინ ვინ?

## ვერონი ათიდან ხუთით იმუქრება

**ზოგიერთი** ნაკრების მწვრთნელმა იკითხოს, თორემ მარსელო ბიელსას რა უჭირს. ერთნი ტრავმებს უჩივიან, მეორენი უდისციპლინობას, მესამენი მეგოლეების არყოლას, ბიელსას კი თავი ასტკივებია, ცენტრფორვარდად ვინ ათამაშოს, გაბრიელ ომარ ბატისტუტა თუ ერნან კრესპო. კარგია, როცა საქმე ასარჩევად გაქვს, თუმცა ცუდია, როცა არ იცი, ვინ? ბიელსა ორი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშს არ აპირებს — ან ერთი, ან მეორე.

საინტერესოა ისიც, რომ არგენტინელთა მიერ გატანილი პირველი გოლი 101-ე იქნება ნაკრების სამუნდიალო ისტორიაში.

ჯერჯერობით ბიელსა სანიგერიო ტაქტიკას ამზადებს. მისი აზრები 3-3-1-3 განლაგებას დასტრიალებს.

მაშ ასე დაცვა მარცხნიდან მარჯვნივ: რომაელი ვალტერ სამუელი, ცენტრი რობერტო ფაბიან აიალას სამფლობელოა, მარჯვნივ კი მაურისიო პოჩეტინო გამაგრდება.

ამ სამეულის წინ არანაკლებ ცნობილი მობურთალნი განლაგდებიან. სამეულის წინ ხუან პაბლო სორინი იქნება. ეს ის კაცია, რომელმაც გერმანიასთან ამხანაგურ მატჩში მოულოდნელი ჩართვით გამარჯვებისა შეაგდო. მას 35 სანაკრებო შეხვედრაში ექვსი გოლი დაუგროვდა.

შუაში დიეგო სიმეონე გაირჯება, მარჯვნიდან კი მხარს ხავიერ ძანეტი აუბამს.

ბიელსას მთავარი კაცი ხუან სებასტიან ვერონია. მანჩესტერელისთვის გაბრიელ ბატისტუტა და ერნან კრესპო სულ ერთია: „ორივე უძლიერესი ცენტრფორვარდია. ჩემს მიერ გაკეთებული 10 პასიდან ხუთმა საგოლე მომენტი უნდა შექმნას" — ასე ფიქრობს ვერონი.

ვერონს აქეთ-იქიდან ნაცნობ-მეგობრები ამოუდგებიან, მარცხნიდან კილი გონსალესი, მარჯვნივ კი არიელ ორტეგა. ორტეგაც ძველი კაცია. 81 სანაკრებო შეხვედრაში 17 გოლი მიითვალა. ბიელსას გათვლით, მან სიღრმეში უნდა შეიწოვოს ვერონის დასახმარებლად. თუ საჭირო გახდება, ცენტრფორვარდებსაც შეაშველებს ფეხს.

ერთადერთი, რაც მწვრთნელს აღელვებს, მეორე სართულია. ამ კომპონენტში მისი ბიჭები მოიკოჭლებენ. ამის დასტურია, აპრილში კამერუნთან ამხანაგური მატჩი. მაშინ ორივე გოლი აფრიკელებმა თავურით გაიტანეს. აქ ბიელსას „სელტას" მეკარის, პაბლო კავალიეროს იმედი აქვს. კავალიეროს გამოსვლაზე თამაში არ დაეწუნება, თუმცა ხერმან ბურგოსი ჯერაც მთავარმეკარეა.

**ვაჟა ხუციშვილი**



კრესპო თუ ბატისტუტა, ვერონისთვის სულ ერთია




იყიდება სასწრაფოდ!
ლაზერული პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით

# HAPPY BIRTHDAY TO YOU

## ღმერთმა ასი წელი გაცოცხლოთ!

**29 წლის** ზინედინ ზიდანი 30 წლის იუბილეს, ადვილი შესაძლებელია, ჩინებულ გუნებაზე შეხვდეს, საამისოდ საფრანგეთის ნაკრები ჯერ ჯგუფიდან უნდა გავიდეს (რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა გაუჭირდეს), მერე მერვედფინალურ და მეოთხედფინალურ მატჩებშიც იყოჩაღოს და ზიზუს დღეობაც მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტის რანგში აღნიშნოს.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გეტყვით, რომ 23 ივნისს მსოფლიოს უძვირესი ფეხბურთელი 30 წლის მოიყრება, ფრანგებს კი ამ დღეს მეორე იუბილარის დალოცვაც მოუწევთ — პატრიკ ვიეირა 26-ე დაბადების დღეს აღნიშნავს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილს თუ ყურადღებით ჩახედავთ, იოლად მიხვდებით, რატომ დაგვჭირდა ასეთი შესავალი. ცხადია, იგუმანეთ — აქ თავი მოვუყარეთ იმ ფეხბურთელებს, რომელთა დაბადების დღეც მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობას ემთხვევა, მაგრამ ერთიცაა, არა გვგონია, ეკვადორელმა კლებერ კალამ, ამერიკელმა კარლოს ლამოსამ, პარაგვაელმა ხიუსტო ვილარმა და ბევრმაც სხვამ, იუბილის



აღსანიშნად მუნდიალის მეოთხედ-ნახევარ-ფინალში თამაშის გამო ვერ მოიცალონ. რატომ? მათი დაბადების თარიღებს ჩახედეთ და მათი გუნდების შესაძლებლობებზეც დაფიქრდით.

## იუბილარები

| | | |
|---|---|---|
| პატრიკ ვიეირა | საფრანგეთი | 23.06.76 |
| ზინედინ ზიდანი | საფრანგეთი | 23.06.72 |
| ფაბიენ ბარტეზი | საფრანგეთი | 28.06.71 |
| სილვენ ნდიაიე | სენეგალი | 25.06.76 |
| ფედერიკო ელდუაიენი | ურუგვაი | 25.06.77 |
| თომას სორენსენი | დანია | 12.06.76 |
| თომას ჰელვეგი | დანია | 24.06.71 |
| კაფუ | ბრაზილია | 17.06.70 |
| ედუარდო ბელეტი | ბრაზილია | 20.06.76 |
| კლებერსონი | ბრაზილია | 19.06.79 |
| ჟუნიორი | ბრაზილია | 20.06.73 |
| ან კი | ჩინეთი | 21.06.81 |
| კი ჰონგი | ჩინეთი | 03.06.76 |
| როლანდო ფონსეკა | კოსტა რიკა | 06.06.74 |
| ხუან ხოსე როდრიგესი | კოსტა რიკა | 23.06.67 |
| რაული | ესპანეთი | 27.06.77 |
| ენრიკე რომერო | ესპანეთი | 23.06.71 |
| გორან სანკოვიჩი | სლოვენია | 18.06.79 |
| ზორან პავლოვიჩი | სლოვენია | 27.06.76 |
| ესტანისლაო სტრუვაი | პარაგვაი | 25.06.68 |
| ხიუსტო ვილარი | პარაგვაი | 30.06.77 |
| სირილ ნზამა | ს. აფრიკა | 26.06.74 |
| ტაბო მნგომენი | ს. აფრიკა | 24.06.69 |
| სიბუსისო ზუმა | ს. აფრიკა | 23.06.75 |
| ანდრე არენდსე | ს. აფრიკა | 27.06.67 |
| მინგ სუნგ ლი | კორეა | 23.06.73 |
| პაველ კრიშალოვიჩი | პოლონეთი | 23.06.74 |
| კობი ჯოუნსი | აშშ | 16.06.70 |
| კარლოს ლამოსა | აშშ | 30.06.69 |
| ბრაიან მაკბრაიდი | აშშ | 19.06.72 |
| ტონი სანე | აშშ | 01.06.71 |
| პაულუ ბენტუ | პორტუგალია | 20.06.69 |
| ოლივერ კანი | გერმანია | 15.06.69 |
| მიროსლავ კლოზე | გერმანია | 09.06.78 |
| ნავაფ ალ-ტემიატი | საუდეთი | 26.06.76 |
| კენი კანინგემი | ირლანდია | 28.06.71 |
| ჯეისონ მაკატირი | ირლანდია | 18.06.71 |
| დევიდ კონოლი | ირლანდია | 06.06.77 |
| ენდი ობრაიენი | ირლანდია | 29.06.79 |
| პაოლო მალდინი | იტალია | 26.06.68 |
| ლუიჯი დი ბიაჯო | იტალია | 03.06.71 |
| ვინჩენცო მონტელა | იტალია | 18.06.78 |
| კლებერ კალა | ეკვადორი | 29.06.71 |
| ედვინ ტენორიო | ეკვადორი | 16.06.79 |
| ველინგტონ სანჩესი | ეკვადორი | 19.06.76 |
| ფრანსისკო გაბრიელ დე ანდა | მექსიკა | 05.06.71 |
| დარიუს ვასელი | ინგლისი | 13.06.80 |
| პონტუს ფარნერუდი | შვედეთი | 04.06.80 |
| აკინორი ნიშიზავა | იაპონია | 18.06.76 |
| ტაკაიუკი სუზუკი | იაპონია | 05.06.76 |
| ბერნდ ტიისი | ბელგია | 28.06.78 |
| დმიტრი სენიკოვი | რუსეთი | 24.06.76 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაჰპირდი და მოითხოვე

## რა ღირს მსოფლიოს ჩემპიონობა?

*ადრე საკუთარი ქვეყნის სახელით გამარჯვება საკმარისი იყო. დღეს სხვანაირადაა: ფეხბურთი დიდი ბიზნესია და ამ ბიზნესში მოგების გარეშე არავინ არაფერს აკეთებს. დიდი ჯილდოს მოგება დიდი გასამრჯელოს მიღებასაც ნიშნავს*

**მსოფლიოს ჩემპიონობის** შემთხვევაში ყველაზე დიდ პრემიას ესპანელებს ჰპირდებიან. კერძოდ, თუ მოხდა ის, რაც არასდროს მომხდარა, თითოეული მოთამაშე 445 ათას დოლარს მიიღებს, ხოლო მწვრთნელის, ხოსე ანტონიო კამაჩოს საბანკო ანგარიში ორჯერ მეტი თანხით შეივსება.

ფრანგები გამარჯვების შემთხვევაში 290 ათასით გამდიდრდებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რიცხვი ოთხი წლის წინანდელზე ერთი მესამედით მეტია. მეორე ადგილზე გასვლის შემთხვევაში კი თითოეული „ლურჯი" 190 ათასით გამდიდრდება — მეორე ადგილიც ხომ კარგი შედეგია.

გერმანელებს ბუნდესნაკრების ჩემპიონობა 85 ათასზე მეტად არ ულირთ, ხოლო იტალიელებს, ეტყობა, ხარდახშაში თავები დაუძვრებიან — მათი პრემიები ოთხი წლის წინანდელზე ნაკლებია: 160 ათასი.

„მერე რა, — ამბობს გამოცდილი ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო, რომელიც ფედერაციაში პრემიებზე მსჯელობისას თათბირებს ესწრებოდა — მე, ოღონდ მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე და თუ გინდათ, იქით დავდებ ფულს".

ბრაზილიელები ფეხბურთელებს 175 ათასს დაჰპირდნენ, ცხადია, ჩემპიონობის შემთხვევაში, ხოლო რუსების საქმე ასეა: ფედერაცია თითოეულ მოთამაშეს თავის დანაპირებს აუსრულებს და ზედაც სპონსორები 70-ათასიან „პორშეებს" ჩამოარიგებენ.

ფული ოხერია, გადარევა იცის! მაგალითად, კამერუნელებმა იაპონიაში გაფრენაზე უარი თქვეს. ოთხი დღე პარიზში დარჩნენ და მანამდე არ მოისვენეს, სანამ ფეხბურთის ფედერაციამ შესარჩევ ეტაპზე გამარჯვებისთვის დაპირებული 42 ათასი (თითოეულისთვის) არ ჩამოყაჭა. კამერუნელთა კაპიტანმა რიგობერტ სონგმა არსენასავით ერთი „ნას კაკოიც" მიაძახა შეფობას — პატივისცემის ამბავი იყო, სიტყვა ჰქონდათ ნათქვამი და უნდა შეესრულებინათო.

ნიგერიაშიც დაახლოებით იგივე მოხდა: ფეხბურთელებმა, თუ ჩვენს 70 ათასს არ მოგვცემთ, ქაიროში ეგვიპტესთან ამხანაგური მატჩის სათამაშოდ არ ჩავალთო. არც ჩასულან.

კორეელები კი... ჯგუფური ეტაპიდან გაღწევისთვის 175 ათასს მიიღებენ, ხოლო ჩემპიონობის შემთხვევაში... მაგალითად, მწვრთნელი გუს ჰიდინკი 1,8 მილიონს წაიღებს მშობლიურ ჰოლანდიაში.



სვენ გორან ერიკსონს ინგლისელებმა ფული დაუთვალეს

ინგლისელები შვედ მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს წელიწადში 3,6 მილიონ გირვანქას (დოლარზე 1,6-ჯერ მეტია) ხომ ისედაც უხდიან და მსოფლიოს ჩემპიონობის შემთხვევაში 730 ათას (უკვე დოლარს) კიდევ ჰპირდებიან. ფეხბურთელებისთვის კი კაცზე 360 ათასია გადადებული, თუმცა კიდევ არის რაღაც-რაღაც ინდივიდუალური კონტრაქტები, რომელთა შესახებ ჩვენ ვერაფერს გეტყვით. ისე, ბრიტანული ჭორიკანა პრესა გვარწმუნებს, თუ ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი გახდება, ერიკსონი (შვედია და ამიტომ საგანგებოდ უთვლიან) 14,5 მილიონი დოლარით გამდიდრებაო. ამაზე, ცხადია, ერთი ამბავი ატყდა, რაზეც მწვრთნელმა მშვიდად და დიპლომატიურად თქვა:

„გარწმუნებთ, ჩვენ ფულის გამო არ გვინდა გამარჯვება. თანხებზე ჩვენი აგენტები მუშაობენ. ჩვენ კი სანამ იაპონიიდან არ დავბრუნდებით, ამ საკითხზე არც ვიფიქრებთ".

**ბაჩუნა ძიძია**

# საიდუმლო გაშიფრულია

## დევიდ ბექემი მაფიოზად მონათლეს

**თუ** წელსზემოთ შიშველი დევიდ ბექემისთვის მოგიკრავთ თვალი, მის სხეულზე სვირინგების ჭარბ რაოდენობას უთუოდ მიაქცევდით ყურადღებას. საქმე ის გახლავთ, რომ რაც ინგლისის ნაკრების კაპიტანი ვიქტორია ადამსს გადაეყარა, თავისი სხეული ნაირ-ნაირი ორნამენტებით მოსახატად გაიმეტა.

მისი ერთ-ერთი სვირინგი ასეთია: მაჯიდან იდაყვამდე ინდური ასოებით საყვარელი მეუღლის სახელი აწერია. ხოლო რაკი ვიქტორიასა და დევიდის ცოლ-ქმრული თანაცხოვრების შედეგად ქვეყანას ბრუკლინ ბექემი მოევლინა, ნახევარმცველის წელზე უმალ გაჩნდა შესაბამისი სვირინგი, რომელიც მან ვაჟიშვილს მიუძღვნა.

გამოხდა ხანი და დევიდმა ზურგზე ჯვარცმა დაიხატა, რომელიც ფეხბურთელს ორივე ბეჭს უფარავს და ხერხემალს ჩაჰყვება...

ბექემის სვირინგების აღწერას აქ მოვრჩეთ და ის ვთქვათ, თუ რა კავშირი აქვს ზემოთ თქმულს მსოფლიოს ჩემპიონატთან.

მუნდიალი, მოგეხსენებათ, კორეა-იაპონიაში იმართება, იაპონიაში კი რიგითი მოქალაქეები თურმე იშვიათად იხატავენ სხეულზე ორნამენტებს და თუ ვინმეს ამ ქვეყანაში ნახატებით ტანაჭრელებულს შემჩნევთ, სავარაუდოა, რომ ის იაპონურ მაფიასთან იყოს კავშირში, რამეთუ იქ იაკუძასთან ახლოს მდგარ პირებს სჩვევიათ სვირინგების ტარება.

ფიფა იაპონიაში ჩამსვლელებს აფრთხილებს, თუ სხეულზე სვირინგი გაქვთ, სამოსით დაფარეთ, ზედმეტი ხათაბალისგან თავი დაიზღვიეთ, სვირინგიანებს კი ერიდეთო. ის კი არა, იაპონური აბანოს ან სპორტული დარბაზის მფლობელმა მიმსვლელი შესაძლოა, საერთოდ არ შეუშვას თავის დაწესებულებაში, თუ ამ უკანასკნელის ტანზე სვირინგი შენიშნა.

და რა ქნას დევიდ ბექემმა? თავის ტანს საშლელით ხომ ვერ მიადგება... ვითარებიდან გამოსავალი მოინახა: დევიდს ურჩევენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე გრძელსახელოიანი მაისურით ითამაშოს და თუ გოლს გაიტანს, თავზე ნუ წამოიფარებს.

ბექემზე და მის გოლებზე ერთ საინტერესო ამბავსაც მოგახსენებთ. არ გესწავლებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველს ძალიან ხშირად გააქვს გოლი საჯარიმოდან. შვედეთის ნაკრების მეკარე მაგნუს ჰედმანი, როგორც ინგლისის ნაკრების მომავალი მეტოქის კარის დარაჯი, დამჯდარა და დევიდის შესრულებული ჯარიმების ვიდეოჩანაწერები გაურჩევია. ახლა ირწმუნება, დარტყმის საიდუმლოს ჩავწვდი და, თუ ბიჭია, გამიტანოსო.



დევიდ ბექემის მოსვირინგებულ სიყვარულს იაპონიაში ვერ გაუგებენ

**ნიკა შუბლაძე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია ბ. XXXVIII ტური** | | | | | | |
| 18.00 | 003 | ჩიტადელა-პისტოიეზე | 2,0 | 2,5 | 4,0 | 1,1 | 1,3 | 1,5 |
| 18.00 | 006 | მოდენა-სალერნიტანა | 1,35 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,4 |
| 18.00 | 007 | ნაპოლი-კომო | 2,2 | 2,6 | 3,3 | 1,15 | 1,3 | 1,4 |
| | | **იტალია. სერია ც1. პლეი-ოფი. 1-ლი მატჩები** | | | | | | |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 19.30 | 011 | ტრიესტინა-ლუკეზე | 2,0 | 2,6 | 4,2 | 1,1 | 1,3 | 1,6 |
| 19.30 | 012 | კატანია-ტარანტო | 1,7 | 2,9 | 5,3 | 1,05 | 1,25 | 1,85 |
| | | **ნორვეგია. X ტური** | | | | | | |
| | | **2 ივნისი.** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლილესტრომი-სტაბეკი | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,25 | 1,2 | 1,55 |
| 21.00 | 016 | ლინი-სოგნდალი | 1,5 | 3,8 | 5,3 | 1,05 | 1,15 | 2,2 |
| 21.00 | 017 | მოლდე-ვოლერენგა | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| 21.00 | 018 | მოსი-სტარტი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,1 | 1,2 | 1,7 |
| 21.00 | 019 | ოდ გრენლანდი-ბრინი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 21.00 | 020 | როზენბორგი-ბოდოი გლიმტი | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 21.00 | 021 | ვიკინგი-ბრანი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,1 | 1,15 | 1,8 |
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 16.30 | 101 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 102 | ირლანდია-კამერუნი | 2,8 | 3,0 | 2,4 | 1,4 | 1,25 | 1,3 |
| 14.00 | 103 | ურუგვაი-დანია | 2,4 | 3,0 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 16.30 | 104 | გერმანია-საუდეთი | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1 | 1 | 3,2 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | |
| 10.30 | 105 | არგენტინა-ნიგერია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,05 | 1,2 | 2,1 |
| 12.30 | 106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,9 | 3,1 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,7 |
| 14.30 | 107 | ინგლისი-შვედეთი | 1,95 | 3,0 | 3,8 | 1,15 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 109 | ხორვატია-მექსიკა | 2,3 | 3,0 | 3,0 | 1,3 | 1,3 | 1,5 |
| 14.00 | 110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,45 | 3,5 | 7,0 | 1 | 1,2 | 2,3 |
| 16.30 | 111 | იტალია-ეკვადორი | 1,45 | 3,4 | 7,5 | 1 | 1,2 | 2,3 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,1 | 3,1 | 2,2 | 1,5 | 1,25 | 1,25 |
| 14.00 | 113 | იაპონია-ბელგია | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 16.30 | 114 | კორეა-პოლონეთი | 2,7 | 2,9 | 2,5 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 115 | რუსეთი-ტუნისი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,05 | 1,2 | 2 |
| 14.00 | 116 | აშშ-პორტუგალია | 7,0 | 3,5 | 1,45 | 2,3 | 1,2 | 1 |
| | | **კალათბურთი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 24.00 | 503 | ბოსტონი-ნიუ ჯერსი | 1,45 | 12,0 | 2,1 | | | |
| 24.00 | 504 | ლეიკერსი-საკრამენტო | 1,35 | 12,0 | 2,5 | | | |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **31 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 510 | დეტროიტი-კოლორადო | 1,8 | 3,6 | 3,3 | | | |

### I ტაიმის შედეგი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | |
| 16.30 | 1001 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,55 | 2,6 | 9,0 |
| | | **1 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1002 | ირლანდია-კამერუნი | 3,3 | 2,0 | 3,0 |
| 14.00 | 1003 | ურუგვაი-დანია | 3,0 | 2,0 | 3,3 |
| 16.30 | 1004 | გერმანია-საუდეთი | 1,45 | 2,8 | 10,0 |
| | | **2 ივნისი** | | | |
| 10.30 | 1005 | არგენტინა-ნიგერია | 2,0 | 2,2 | 5,6 |
| 12.30 | 1006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,3 | 2,1 | 4,4 |
| 14.30 | 1007 | ინგლისი-შვედეთი | 2,4 | 2,0 | 4,4 |
| 16.30 | 1008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,85 | 2,3 | 6,5 |
| | | **3 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1009 | ხორვატია-მექსიკა | 2,8 | 2,0 | 3,5 |
| 14.00 | 1010 | ბრაზილია-თურქეთი | 1,8 | 2,3 | 7,0 |
| 16.30 | 1011 | იტალია-ეკვადორი | 1,8 | 2,2 | 8,0 |
| | | **4 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1012 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 3,4 | 2,1 | 2,7 |
| 14.00 | 1013 | იაპონია-ბელგია | 3,1 | 2,0 | 3,2 |
| 16.30 | 1014 | კორეა-პოლონეთი | 3,2 | 2,0 | 3,1 |
| | | **5 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1015 | რუსეთი-ტუნისი | 2,0 | 2,3 | 5,0 |
| 14.00 | 1016 | აშშ-პორტუგალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 1101 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **1 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1102 | ირლანდია-კამერუნი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 14.00 | 1103 | ურუგვაი-დანია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 1104 | გერმანია-საუდეთი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 2,8 | 6,0 | 16,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| | | **2 ივნისი** | | | | | | | | | |
| 10.30 | 1105 | არგენტინა-ნიგერია | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 4,7 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 12.30 | 1106 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,7 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 14.30 | 1107 | ინგლისი-შვედეთი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 16.30 | 1108 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **3 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1109 | ხორვატია-მექსიკა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4, | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,7 |
| 14.00 | 1110 | ბრაზილია-თურქეთი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1111 | იტალია-ეკვადორი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 4,7 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| | | **4 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1112 | ჩინეთი-კოსტა რიკა | 4,4 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 14.00 | 1113 | იაპონია-ბელგია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 16.30 | 1114 | კორეა-პოლონეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,2 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **5 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1115 | რუსეთი-ტუნისი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 14.00 | 1116 | აშშ-პორტუგალია | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,9 |


## გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები

თბილისი, დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი;
ზესტაფონი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში

# კროკო

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს

**სამუშაო საათები 9$^{00}$ — 19$^{00}$**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში


### რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **31 მაისი** | | |
| 16.30 | 2001 | საფრანგეთი-სენეგალი | 1,8 | 1,7 |
| | | **1 ივნისი** | | |
| 11.30 | 2002 | ირლანდია-კამერუნი | 1,6 | 1,9 |
| 14.00 | 2003 | ურუგვაი-დანია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2004 | გერმანია-საუდეთი | 2,0 | 1,55 |
| | | **2 ივნისი** | | |
| 10.30 | 2005 | არგენტინა-ნიგერია | 1,85 | 1,65 |
| 12.30 | 2006 | პარაგვაი-ს. აფრიკა | 1,7 | 1,8 |
| 14.30 | 2007 | ინგლისი-შვედეთი | 1,7 | 1,8 |
| 16.30 | 2008 | ესპანეთი-სლოვენია | 1,9 | 1,6 |
| | | **3 ივნისი** | | |
ოლდრიჯის თქმით, ცქიტიშვილის ამერიკელი აგენტი მარკ ფლეიშერი მას წლეულს დრაფტზე დააყენებს, მაგრამ თუ იგი პირველ ათეულში ვერ მოხვდება, ალბათ, უკანვე წაიღებს ქართველის კანდიდატურას. ამერიკელი სპეციალისტი იქვე დასძენს, რომ მასში „ბენეტონს“ 350 ათასი დოლარი აქვს გადახდილი და შესაძლოა, ერთი სეზონიც დაიტოვოს, რათა შემდეგ გაცილებით ძვირად გაყიდოს.

ოლდრიჯისვე აზრით, შესაძლოა, ცქიტიშვილი შეაფერხოს იტალიის ჩემპიონატმა, რომელიც ივნისის ბოლოს მთავრდება და გამორიცხული არ არის, იგი წინასადრაფტო ვარჯიშებზე ამერიკაში ვერ ჩავიდეს, თუმც, მისივე თქმით, ნბა-ს ოც გუნდზე მეტმა უკვე ნახა ანაც ნახავს ცქიტიშვილის თამაშს იტალიაში.

ტრევიზოს ნასტუმრევ ამერიკელ დამკვირვებელთაგან ერთის, „მაიამი ჰიითის“ გენერალური მენეჯერის რენდი პფუნდის შესახებ უკვე გამცნეთ, მაგრამ მაშინ არც თავად ცქიტიშვილმა იცოდა, თუ რა მისიით ჩავიდა მაიამელი იტალიაში. ამაზე პასუხს ამერიკული გაზეთის „მაიამი ჰერალდის“ ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: „პფუნდი იტალიაში ევროლიგის ოთხთა ფინალზე იყო და „ბენეტონის“ შვიდფუტა ქართველ ფორვარდს ნიკოლოზ ცქიტიშვილს დააკვირდა, რომელიც შესაძლოა, მომავალ დრაფტში მე-10 ნომრად იყოს („მაიამის“ სადრაფტო ლატარიისას მე-10 ნომერი ერგო), იგი 19 წლისაა და უზუსტეს სროლას ფლობს, თუმც ფარქვეშ ბრძოლისთვის ცოტა სუსტია და დაცვაში მოიკოჭლებს“.

ცქიტიშვილს ევროლიგის ნახევარფინალურ მატჩში „კინდერთან“ არ უთამაშია, თუმც მანამდე კარგა ხანს უქმად ნამყოფი დანტონიმ იტალიის ჩემპიონატის სალეიოფო მატჩებში დატვირთა.

ESPN-ი ცქიტიშვილს დრაფტზე მე-9 ნომრად ამწესებს და მოზრდილ წერილს უთმობს, სადაც ლაპარაკია მის ადრეულ კლუბებზე და ბოლოს ქართველის აქტივს და პასივს ჩამოთვლის: დადებითი უარყოფითს სჭარბობს.

დადებითი: „ცქიტიშვილი 7 ფუტის სიმაღლისაა და ბრწყინვალე სროლა და მოქნილობა აქვს. მას თავისუფლად შეუძლია, მთელი მოედანი ერთი ამოსუნთქვით და სწრაფად გადაირბინოს. ჩვენმა დამკვირვებლებმა იტალიაში 4 მაისს ნახეს მისი ზედიზედ 10 ჩაგდებული სამქულიანი, რომლებიც მან ნბა-ს სტანდარტით შეასრულა. იგი უფრო მკვირცხლი და ათლეტურია, ვიდრე დირკ ნოვიცკი.

უარყოფითი: „ეს ბიჭი ჯერაც გასაზრდელია. მას სხეულის განვითარება და წონის მომატება სჭირდება. ცქიტიშვილს იტალიაში ცოტა სათამაშო დრო აქვს, რაც მისთვის პაერივითაა საჭირო. ნოვიცკისა და გასოლთან შედარებით დასახვეწი აქვს ფარქვეშ თამაში“.

ESPN-ი რეზიუმეს სახით ასკვნის: „ცქიტიშვილის სანახავად ნბა-ს თითქმის ყველა გუნდის წარმომადგენელი ჩავიდა ტრევიზოში და ყველა კმაყოფილი დაბრუნდა. მათ იშვიათად უნახავთ ამ სიმაღლე და ასეთი ნიჭით დაჯილდოებული კალათბურთელი, თანაც ცქიტიშვილს ხომ ოთხ პოზიციაზე თამაშის უნარიც შესწევს. მისი სახელი დრაფტში ხმაურიანად გაიჟღერებს“.

ნიკას გუშინ ტრევიზოში შევეხმიანეთ:

**— მაიკ დანტონი რა აზრისაა შენს ამერიკაში წასვლაზე?**

— მისი თქმით, უმჯობესი იქნება, კიდევ ერთი წელი დავყო „ბენეტონში“ და ნბა-ში შემდეგ წავიდე.

**— ამერიკიდან ხომ არ შეგეხმიანენ?**

— კონკრეტული არაფერია, მაგრამ იქაურ ვებ-გვერდებზე დრაფტის პირველ ათეულში მოხვედრის კანდიდატად მასახელებენ. მე პირადად არავინ შემხმიანებია, ამ საქმეს ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერი აგვარებს, რომელიც მალე დამიკავშირდება. წავალ თუ არა დრაფტში მონაწილეობის მისაღებად, ალბათ, დრაფტამდე ორი კვირით ადრე გაირკვევა.

**— თუ მოგიწვიეს, შენი პოზიცია როგორი იქნება?**

— ცხადია, ნბა-ში მოხვედრა ძალიან მინდა, მაგრამ არ მსურს, ისე გამოვიდეს, იქ ჩასულს რაიმე პრობლემა შემექმნას. თუ თამაშმა არ მომიწია, ჩემთვის ეს ტრაგედია იქნება, სასწავლდასახვეწი ხომ ჯერაც ბევრი მაქვს.

**— ამას წინასწარ ხომ ვერ განსაზღვრავ...**

— თუ დრაფტზე გამწესებულთა პირველ ათეულში მოვხვდი, საფიქრალი რაღა მექნება. ასეთ შემთხვევაში ჩემი ამყვანი გუნდი კონტრაქტს აუცილებლად გამიფორმებს და თავის გამოჩენის შესაძლებლობასაც მომცემს. თუ ასე მოხდა, ვფიქრობ, ჩემს სათქმელს ვიტყვი.

**— ათეულსმიღმა რომ დარჩე?**

— არა მგონია, დავთანხმდე.

**— იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერია რიზით დაიწყეთ...**

— მართლაც, ასე იოლად თუ მოვუგებდით ბოლონიის „კინდერს“, არ მეგონა. თამაში თავიდანვე ჩვენი იყო და მეტოქისთვის შანსი არც მიგვიცია. საბოლოოდ 97:66 გავიმარჯვეთ. მაიკ დანტონიმ 10 წუთი მათამაშა, მეორე და მეოთხე მეოთხედის ბოლო წუთები. ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 4 ქულა მოვაგროვე, ფარზე და დაცვაში კარგად ვიმუშავე. ერთ რამეზე კი გული დამწყდა: ორჯერ ჩატენვა გამიცუდდა.

**— წინა საპლეიოფო მატჩებშიც მოგიწია თამაშმა...**

— „ტრიესტთან“ მეოთხედფინალის სამივე შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა და, კარგად ითამაშე, მითხრეს.

**— მანამდე კი კარგა ხანი სათადარიგო იყავი. რამე შეიცვალა?**

— წარმოდგენა არა მაქვს. პლეი ოფამდე დანტონის ერთი წუთითაც არ შევუყავდი მოედანზე, ახლა კი მნიშვნელოვან მატჩებში მენდობა. ისე, წინა საუბრისასაც გითხარი, პატ რაილის თანაშემწის ჩამოსვლას უკავშირებდნენ ჩემს მოედანზე დაბრუნებას.

**— ის ახლაც მანდაა?**

— არა, თუმც თამაში მაინც მიწევს.

**— „კინდერის“ ბარიერი ძნელი დასაძლევი იქნება?**

— სერიაში ის გაიმარჯვებს, ვინც 3 თამაშს მოიგებს. ერთი ნაბიჯი უკვე გადავდგით, ახლა ბოლონიაში ვთამაშობთ, თუ იქაც გავიმარჯვებთ, ფინალში ალბათ იოლად გავალთ.

**ირაკლი ბერტაია**

პლეი ოფი კონფერენციების ფინალები, ოთხ მოგებამდე

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი 3:2 ბოსტონი

# ეტყობა, ასეა: ნბა უსიურპრიზოდ, ბოსტონი უპრიზოდ

— 29 მაისი —

**ნიუ ჯერსი 103:92 ბოსტონი**

**ნიუ ჯერსი:** კიდი (18 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), კიტლზი (21), ვან ჰორნი (19), მარტინი (19), მაკალოფი (4); პარისი (8), კოლინზი (7), ა. უილიამსი (4), ჯეფერსონი (3), ჯონსონი, სკალაბრინი, მარშალი

**ბოსტონი:** ანდერსონი (8), ე. უილიამსი, პირსი (24 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (13 ქულა, 13 მოხსნა), ბათი (8 ქულა, 11 მოხსნა); როჯერსი (20), სტრიკლენდი (13), დელკი (6), მაკარტი

ამერიკელებს არ უყვართ ამნაირი სიურპრიზები და მოულოდნელობები. ისეთები, როცა მერვე ნომრად განთესილი პირველს აგდებს. ასეთ შემთხვევითობათა მინიმუმამდე შესამცირებლად აგერ, სერიის საბოლოოდ მოსაგებად ოთხი გამარჯვება დაუწესებიათ, სადაც ძლიერი სუსტთან „შემთხვევით“ წაგების დროს საბოლოოდ არ „ჩაიძირება“.

„ნიუ ჯერსი ნეთსისთვის“ სწორედ ზედგამოჭრილია ასეთი მრავალმატჩა სერია. დედაქალაქის გარეუბნელები თავს „ბოსტონზე“ ძლიერად თვლიან და ამის თავგამოდებულ მტკიცებაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. უკვე „ბოსტონის“ ქომაგების ობიექტურად მომზირალი ნაწილიც აღიარებს, რომ მათმა „სელტიქსმა“ წააგო ტაქტიკური ბრძოლა. „ნიუ ჯერსი“ მეტოქეზე ცოტათი უფრო გამართული და პრაგმატული გუნდია. „ბოსტონის“ მთავარი იარაღი კი შემართება და სულისკვეთებაა. სწორედ ჯიგარმა მოაგებინა „კელტებს“ სერიის მესამე თამაში, როცა მათ ბოლო მეოთხედში 21-ქულიანი ნაპრალიდან ამოსვლა შეძლეს და პლეი ოფების ყველა დროის რეკორდიც დაამყარეს.

დაახლოებით იგივეს გამეორება დააპირეს „კელტებმა“ მეხუთე თამაშშიც, მაგრამ „ნიუ ჯერსი“ ამჯერად ფხიზლად იყო და უმნიშვნელოვანესი გამარჯვებაც მან ჩაიწერა.

„ბოსტონმა“ ტრადიციულად წააგო მატჩის დებიუტი, სერიოზულადაც წააგო — 16:31. შესანიშნავ ფორმაში იყო „ნეთსის“ ლიდერი ჯეისონ კიდი და მისგან მომართულმა თითქმის იდეალურმა შემტევმა მანქანამ და სწრაფმა და ზუსტმა პასებმა უცებ მოარყია ბოსტონური ზონური დაცვა. კიტლზმა და მარტინიმ სამიზნე გაისწორეს და „ნეთსი“ მეორე მეოთხედის შუაწელს 50:30 დაწინაურდა.

„ბოსტონს“ აფეთქების წამი მესამე მეოთხედში დაუდგა. ყველაფერი მესამე მატჩს ჰგავდა — პოლ პირსმა და სათადარიგო როდნი როჯერსმა „ბადეები“ მათსავე ნახევარზე საფუძვლიანად შეაწუხეს, შეტევის ცეცხლი ბოლო მეოთხედშიც გადაიტანეს და მატჩის დამთავრებამდე ათამდე წუთით ადრე კინკილა ქულამდე დაამცრეს მეტოქის ოცქულიანი წინყოფნა — 73:74 და... სწორედ აქ შეცდნენ.

მიმომხილველებს არ გამორჩენიათ, შეენიშნათ, რომ „ბოსტონმა“ ადრეულად დაიწყო ბორგვა და ამან დაღუპა. „კელტებმა“ მთელი ენერგია საქულე გარღვევის აღმოფხვრას შეალიეს და მართალია, თითქმის გაიტანეს თავიანთი, მაგრამ ბოლო წუთებს გამოფიტულნი შეხვდნენ.

„სერიის მესამე თამაშის წაგების მიზეზი ჩვენი არხეინობის ბრალია, მაშინ მეტოქემაც გადასარევად ითამაშა, მაგრამ „ბოსტონი“ მაინც 10-15 წუთის გუნდია. მაშინ მათ 21 ქულა ამოგვილეს, მაგრამ ვერ მოგვიგებდნენ, მარაგში ხუთი წუთი რომ გვქონოდა“ — თქვა „ნეთსის“ მწვრთნელმა ბაირონ სკოტმა. ამჯერად მის შეგირდებს ბლომად დრო ჰქონდათ სულის მოსათქმელად. კვლავ ამუშავდა კიდი და კვლავ გაიშალა „ნეთსის“ თავდასხმა და ახლა „ნიუ ჯერსის“ გაქცევის ჯერი დადგა. მასპინძლებმა ერთი მონაკვეთი 20:1 მოიგეს და მეამბოხე „კელტების“ აჯანყება შორი და საშუალო მანძილებიდან სროლებით ჩაახშეს. კიტ ვან ჰორნის წყვილი იდენტური სამიანების შემდეგ „ნეთსი“ 94:74 დაწინაურდა და „ბოსტონს“ მოგების თეორიული შანსიღა დაუტოვა. კვლავ შეუდგა „ბოსტონი“ უფსკრულიდან ამოჩოჩებას, ამჯერად განელებული გზნებით, მაგრამ სადღაც შუაში მოუსწრო საფინალო სირენამ.

„ნეთსი“ 3:2 დაწინაურდა სერიაში და ნბა-ს დიდფინალს ერთი მოგებამდე მიუახლოვდა.

**ირაკლი ფირაშვილი**




კენი ანდერსონმა და სხვა ბოსტონელებმა ამაოდ სდიეს ჯეისონ კიდს

ჯირო 2002


REUTERS

ჯიროს ქარავანი მთებს შეუყვა

# მეფე ცხენზე ველარ შეჯდა

## პანტანის ტანი ემძიმა, ჰეპნერს ვარდისფერი

| 29 მაისი. მე-16 ეტაპი |
|---|
| კონეგლიანო — კორვარა (163კმ) |
| 1. ხულიო პერეს კუაპიო (მექსიკა „პანარია") 4 საათი, 54 წუთი, 54 წამი |
| 2. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ინდექსი") +53 წამი |
| 3. დარიო ფრიგო (იტალია „ტაკონი სპორტი") +55 წამი |

**ისე** აგიხლეთ ყველა სურვილი, როგორც „სარბიელის" პროგნოზი ახლა. გერმანელმა იენს ჰეპნერმა მე-16 ეტაპზე როგორც იქნა, დათმო ლიდერის ვარდისფერი მაისურა, ახლა უკვე საბოლოოდ.

სამი 13-კილომეტრიანი აღმართიდან პირველი პელოტონმა სრული შემადგენლობით გადაიარა. მეორესა და მესამეზე კი წინა პლანზე ერთთავად 10-15-კაციანი ჯგუფი ჩანდა — წლევანდელი ჯიროს ნაღები: ავსტრალიელი კადელ ევანსი, იტალიელი დარიო ფრიგო, ამერიკელი ტაილერ ჰამილტონი, იტალიელები პიეტრო კაუჩიოლი და პაოლო სავოლდელი. თითოეულ მათგანს საბოლოო გამარჯვების საკმაოდ კარგი შანსი აქვს. იყო კიდევ ერთი, ბოლო ხანებამდე ყველასთვის უცნობი მექსიკელი ხულიო პერეს კუაპიო, რომელზეც დღეიდან ცოტა არ იყოს, მორიდებით მართებთ ლაპარაკი როგორც ჟურნალისტებს, ისე მის მეტოქეებსაც. საქმე ის არის, რომ მექსიკელმა მთიან ეტაპზე განხორციელებული ორი შეტევიდან ორივე წარმატებით დაასრულა. მართალია, შავტუხა ხულიოს პრეტენზიები ჯიროს მოგებაზე ერთობ მოკრძალებულია, მაგრამ საფიქრებელია, რომ ლიდერთა ჯგუფი მის ნებისმიერ შეტევას ძველებურად აღარ წაუყრუებს.

დავუბრუნდეთ ძირითად პრეტენდენტებს. მეორე და მესამე 13-კილომეტრიანებზე ფრიგომ, კაუჩიოლიმ და ბოლოს სავოლდელიმაც სცადეს გაქცევა, მაგრამ ყველა ეს ცდა საბოლოოდ მცდელობადღა დარჩა. რამდენადმე მნიშვნელოვან უპირატესობას ვერც ერთმა მიაღწია. ასე რომ, ყველაფერს მე-17 და მე-19 ეტაპები გადაწყვეტს. მე-17 მთიან ეტაპზე ფრიგო, კაუჩიოლი და ევანსი შეეცდებიან თავიდან მოიცილონ ჰამილტონი, რადგან მე-19 ინდივიდუალურ ეტაპზე უკვე ამერიკელს ექნება უპირატესობა.

და კიდევ ერთი. გულდასაწყვეტი კადრი იხილა მაყურებელმა ზემოხსენებულ ეტაპზე. მთების უცვლელი და დაუმარცხებელი მეფე, „პირატად" წოდებული მარკო პანტანი ველოსიპედიდან ჩამოქვეითდა და ეტაპის დარჩენილი ნაწილი ავტომობილში მოკალათებულმა დაასრულა. ეტყობა, მართლაც დრონი მეფობენ.

**ირაკლი ბერიაშვილი**

| 30 მაისი. მე-17 ეტაპი |
|---|
| კორვარა — ფოლარია (222კმ) |
| 1. პაველ ტონკოვი (რუსეთი, ლამპრე) 7 საათი, 27 წუთი, 57 წამი |
| 2. პაოლო სავოლდელი (იტალია, ინდექსი) + 2 წუთი, 11 წამი |
| 3. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, ლამპრე) + 3 წუთი, 8 წამი |

| საერთო ჩათვლა |
|---|
| 1. პაოლო სავოლდელი 80 საათი, 37 წუთი, 11 წამი |
| 2. პიეტრო კაუკიოლი (იტალია, ალესიო) + 55 წამი |
| 3. ტაილერ ჰამილტონი (აშშ, სიესსი) +1 წუთი, 28 წამი |

# 200 გადაცმული პოლიციელი, შუაღამე, ჩხრეკა, ფაქტები...

## დაჭერობანა-დამალობანა გრძელდება

**ჯიროზე** ატეხილი დოპინგომანია ბოლო დროს თითქოს ჩაცხრა, მაგრამ გუშინწინდელმა საპოლიციო რეიდმა შეიძლება ახალი სკანდალი ააგოროს.

მე-16 ეტაპის შემდეგ 200 გადაცმული პოლიციელი შუაღამისას ალმართს აუყვა და დოლომიტის მთებში დაბანაკებული ველომრბოლების სასტუმრო — მანქანები გაჩხრიკა. პოლიციელებმა მხოლოდ ორი გუნდის — „მერკატონე უნოს" და „პანარიას" წევრებს ამოალაგებინეს ბარგი, „საეკოს" და „მაპეის" ბანაკში კი მხოლოდ შეიარეს. „მაპეის" მენეჯერმა ალდო სასიმ მედიას გაანდო, რომ პოლიციელებმა მისგან სტეფანო გარძელის და ჯილბერტო სიმონის ექიმის ლიცენზია? წაიღეს. შეგახსენებთ: რბოლიდან უკვე მოკვეთილი გარძელი დოპინგ-ტესტზე ჩავარდა, სიმონი კი კოკაინის ყნოსვაში ამხილეს.

საექიმო ჩანაწერები პოლიციელებმა „მერკატონე უნოს" და „პანარიას" ბოსებსაც ჩამოართვეს. როგორც ჩანს, მჩხრეკავებს მარტო მედიკოსთა საქმიანობა არ აინტერესებდათ, რაკი დავთრებთან ერთად განყოფილებაში სამი დაკავებული მრბოლითურთ დაბრუნდნენ. მათი ვინაობა და გუნდი ჯერ არ გაცხადებულა. პოლიციამ ჯერჯერობით მხოლოდ ის თქვა, რომ დაკავებულთ ოდეკოლონის ყუთში საეჭვო აბები უპოვეს.

ჯიროს დაწყებიდან დოპინგ-ტესტზე უკვე 57 მრბოლი ჩაფლავდა და თუ ასე გაგრძელდა, მრავალდღიან ველორბოლას ათიოდე კაცი თუ შერჩება.

**ბაჩო სვანიძე**



NHL სტენლის თასი. ნახევარფინალი ოთხ მოგებამდე

# ჰაშეკმა ტყვიას თავი შეუშვირა

## მიყვანჯულ-მოყვანჯული ამბავი

29 მაისი

| დასავლეთი | |
|---|---|
| დეტროიტი | 3 |
| კოლორადო | 3 |

**კოლორადო 0:2 დეტროიტი 0:1 0:1 0:0**

0:1 შენაჰანი (20), 0:2 მაკარტი (34)

ამ სერიაში იმდენად თანაბარი გუნდები შეეჯახნენ ერთმანეთს, რომ მეშვიდე თამაში გარდაუვალი იყო. ასეც მოხდა. მეექვსე მატჩში გამარჯვების შემდეგ დეტროიტი გავარღნას გადაურჩა. ყველაფერი კი დღეს, 31 მაისს, დეტროიტში გაირკვევა.

თანაბარიო, კი ვთქვით, მაგრამ ისე არ წარმოიდგინოთ, თითქოს ყველა შეხვედრა ზავით უნდა დასრულებულიყო. მით უმეტეს, პლეი ოფში ფრე არ არის. ზოგ მატჩში კოლორადო გამოიყურებოდა უკეთესად, ზოგში, მათ შორის მეექვსეში — დეტროიტი. მატჩის წინ დეტროიტელთა წამყვანმა მცველმა ნიკლას ლიდსტრომმა ძალიან მნიშვნელოვანი ფრაზა თქვა — ჩვენ მეტი მოთმინება გვმართებსო. სწორედ რომ მოუთმენლობამ შეუშალა ხელი „წითელფრთიანებს" მანამდელ თამაშებში. მათ სურდათ, რაც შეიძლება მალე დაესრულებინათ ყველაფერი და...

ამჯერად სტუმრები თავიდანვე არ შეეცადნენ უპირატესობის მიღწევას, შანსს უცდიდნენ. ამ ტაქტიკამ გაამართლა. პირველი პერიოდის ბოლო წამებზე ორჯერ შეცდა კოლორადოს დაცვა და სტივ აიზერმანი კარის სიახლოვეს უმეთვალყუროდ დატოვა. პატრიკ რუა ორჯერვე გაუმკლავდა მეტოქეთა კაპიტნის თითქოსდა აუღებელ დარტყმებს, მაგრამ საბედისწეროდაც შეცდა — როცა ეგონა, შაიბა მოვიხელთეო და სიხარული თავისი ტრადიციული ჟესტით გამოხატა, შემართული საჭერიდან რეზინის დისკო გაუვარდა და სანამ გონს მოეგებოდა, ბრენდან შენაჰანმა მას სასურველი მიმართულება მისცა. დეტროიტმა ამ სერიაში პირველად გახსნა ანგარიში, რამაც კიდევ უფრო გაუადვილა საქმე. კოლორადო ხომ მთელი სერიის განმავლობაში აქცენტს დაცვაზე აკეთებდა, ახლა კი დიდი ძალებით დასჭირდა შეტევა, რასაც სტუმრები მწვავე კონტრშეტევებით პასუხობდნენ. სწორედ ერთ-ერთი მათგანი დაგვირგვინდა მეორე გოლით. კოლორადოელები შეცდნენ, ორი დეტროიტელი გავიდა მეკარესთან პირისპირ, დარენ მაკარტიმაც არ დააყოვნა და უძლიერესი დარტყმით გაავსო რუა — 0:2. პრაქტიკულად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ცხადია, კოლორადომ ფარ-ხმალი არ დაყარა და მაკარტის გოლამდეც და მერეც ბევრს უტევდა, მაგრამ დომინიკ ჰაშეკი საიმედოდ იდგა. ერთ ეპიზოდში ყინულზე გაშოტილმა მეკარემ ჩაფხუტით მოიგერია კრის დრურის დარტყმა.

მეორე პერიოდის მიწურულს, უმრავლესობაში ყოფნისას, კოლორადოს მწვრთნელმა ბობ ჰარტლიმ მსაჯებს სთხოვა, შეემოწმებინათ, ჰაშეკის ყვანჯი სწორად იყო მოღუნული, თუ არა. თუ მისი ვარაუდი გამართლდებოდა, დეტროიტს კიდევ ერთი მოთამაშე დააკლდებოდა და კოლორადო ორკაციან უპირატესობას, ცხადია, გამოიყენებდა, მაგრამ... ჰაშეკის ყვანჯი სტანდარტული აღმოჩნდა და კოლორადო აქეთ დაჯარიმდა. მატჩის შემდეგ ჰარტლი თავს იმართლებდა, ვაგებდით და ასეთ შემთხვევაში ყველა ხერხი უნდა გამოიყენოო. ჰაშეკმა კი ძველი ისტორია გაიხსენა: ოდესღაც მან ჰარტლის შეილისთვის ყვანჯი უჩუქებია. ეგებ ის არ იყო სწორად მოღუნულიდა, ჰარტლიმაც ეს დაიმახსოვრა, მაგრამ მე ყოველი თამაშის წინ ყვანჯს საგანგებოდ ვამოწმებდი, ამიტომაც არაფერ გამოუვიდაო — თქვა მატჩის გმირმა.

**სამველ ლარიბიანი**


REUTERS

კოლორადოელმა პატრიკ რუამ ეს შეტევა კი მოიგერია, მაგრამ...



29 მაისი, კარდიფი, მილენიუმი

# ბარბაროსებმა უელსი გაფლითეს


AP

ბარბაროს კირან რომეს შებოჭვას უელსელი გევინ ტომასი (№6) ცდილობს

**უელსი 25:40 ბარბაროსები**

**უელსი:** 3ლ: მორგანი, ტეილორი, ტომასი; 2გ: ჯონსი; 2ს: ჯონსი;
**ბარბაროსები:** 6ლ: დელპორტი (2), გარვეი (2), ლემი, სმიტი; 5გ: ვან სტრაატენი

ინგლისელთაგან სირცხვილნაჭამმა ბარბაროსებმა დიდბრიტანული სამმატჩა ტურნეს მეორე შეხვედრაში კარდიფის „მილენიუმზე" უელსი მოსრეს. არადა, შესვენებამდე ჯერაც უმთავარმწვრთნელო უელსი მსოფლიოს ნაკრებს 25:0 უგებდა, და ვინ იფიქრებდა, რომ ამხელა სხვაობას გაფლანგავდა. მეორე ტაიმში ბარბაროსებმა, შეიძლება ითქვას, დროს გაუსწრეს და მომავლიდან მოსულებივით ითამაშეს: მეტოქეს ქულაც არ დაანებეს (!), თავად კი ერთბაშად 40 მიითვალეს. თანაც ბარბაროსებს აკლდათ ახალზელანდიური ზედუეტი: ჯონა ლომუ და კრისტიან ქალენი — ორივე სამშობლოში გაბრუნდა სატესტოდ ჩასულ ირლანდიელებთან შესახვედრად.

უქულო პირველი ტაიმის შემდეგ ბარბაროსები მასპინძლებს მართლაც რომ დაერივნენ. სამხრეთაფრიკელები — ტინუს დელპორტი და ადრიან გარვეი, რომ იტყვიან, დასაბმელები გახდნენ. მათი შესაბოჭი უელსელებმა ვერაფერი ნახეს და აწყვეტილი წყვილისგან წყვილი ლელოც მიიღეს. მერე სამოელმა პეტ ლემიმ ჩაუდრიბლინგა უელსელებს, „საკონტროლო" ლელო კი ინგლისელმა ოლე სმიტმა გაიტანა.

ტურნეს ბარბაროსები 1 ივნისს დაასრულებენ, გლაზგოს „მარიფილდზე" სკოტთა დაჩოქებას შეეცდებიან.

2003 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირი

# რუსეთს წყალი არ გაუვა

## ეს დათვი ძალიან შემოგვეჩვია

**2003 წლის** მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ხვალ რუსეთის ნაკრები ჰოლანდიას უმასპინძლებს. მატჩი მოსკოვის „ფილის" სტადიონზე გაიმართება და ეს ის შემთხვევაა, როცა მოჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი მაჩანჩალა „ტიტებს" უეჭველად მოუგებს. მოუგებს და შესარჩევი ტურნირის ბოლო ეტაპზე სამგუნდა ჯგუფში საქართველოსა და ირალინდიის მეტოქე იქნება. ჯგუფიდან ორი გუნდი გადის, მესამეადგილოსანს კი გზა უგრძელდება — რეპეშაჟიდან (სანუგეშო ტურნირი) მოუწევს ავსტრალიაში მოსახვედრად გარჯა.

რუსების მწვრთნელთა დუეტმა, ალექსანდრ პერვუხინმა და სამხრეთაფრიკელმა ჯეიმს შტომბერხმა საჰოლანდიო შემადგენლობა დაასახელეს: **ოლეგ შუკაილოვი, იოჰან ხენდრიკსი, რაშიდ საგდეევი, ივან ნაუმენკო, რენე ფოლხენკი, ვერნერ პიტერსი, ალექსეი პროტასოვი, ანდრეი ჩუპინი, ალექსანდრ ზაკარლიუკი (ყველა „კრასნი იარი"), რომან რომაკი, ვიაჩესლავ ზიკოვი, იური კოშელევი, იგორ ბუდნიკოვი, ალექსეი კორობეინიკოვი, რომან შელეპკოვი (ყველა „ენისეი-სიბტაგმაში"), ალექსეი სერგეევი, ალექსანდრ ხროკინი, ალექსეი ტრავკინი, ვლადისლავ კორშუნოვი (ყველა „ვვა"), ალექსანდრ იანიუშკინი („პენზა"), ოლეგ შუკოვი („ფილი"). სერგეი სერგეევი („მონტობანი").**

რუსეთის ნაკრებში ოთხი ახალბედაა: პროტასოვი, ნაუმენკო, კორშუნოვი და სერგეევი. გუნდის კაპიტანი და რუსთა ვარსკვლავი, მონტობანელი ვიაჩესლავ გრაჩოვი მწვრთნელებმა შეგნებულად არ გამოიძახეს: გამარჯვება არ ეეჭვებათ და გრაჩოვი საჰოლანდიოდ აღარ მოაცდინეს, რაკი რუსთა მორკინალი მსოფლიო სერიის ტურნირებზე შეიდკაცობს და ახლა კარდიფში იმყოფება.

**ბაჩო სვანიძე**

# როლან გაროსი 2002
## საფრანგეთის ღია პირველობა
### პარიზი. თიხნარი. საპრიზო 12 234 850 ევრო



გუსტავო კუერტენი



ტომას იოჰანსონი

REUTERS

# შავი დების დედოფლური დეფილე
## უილიამსები პარიზში თავისი მოდით ჩავიდნენ

**როლან** გაროსის მესამე დღეს პარიზულმა ცამ როგორც იქნა გადაიკარა და მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნეებსაც პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით გაბრწყინების საშუალება მიეცათ.

ყველაზე თვალისმომჭრელი მაინც კამერუნის საფეხბურთო ნაკრების ფორმაში გამოწყობილი სერენა უილიამსი იყო, ვინაც მოდის მთავარქალაქში ერთი დღით დედოფლად იქცა.

„კამერუნი საუკეთესო აფრიკული გუნდია და მსოფლიო დიდება თავისი შეუდრეკლობითა და ჯიგრიანობით დაიმსახურა. ეს თვისებები ჩემთვის საკმარისია საიმისოდ, რათა მისი თავგადაკლული ქომაგი ვიყო" — იძახდა სერენა. ხოლო, როცა მუხლებამდე შემოტმასნულ ყვითელ გრძელწინდებზე ჰკითხეს, ასე უპასუხა: „ჩემი მწვრთნელი მათ ვერ იტანს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ მათზე გიჟდებით".

ერთადერთი პიროვნება, რომელსაც მისი ჭრელა-ჭრულა სამოსისგან სალაღაო ფიქრები არ მისძალებია და მატჩის მსვლელობისას საკუთრივ კორტსა და ჩოგან-ბურთს მიჯაჭვულიყო, ისევ თავად სერენა გახლდათ — სლოვაკი მარტინა სუხა მან 6:3, 6:0 დაანგრია.

მეორე წრეში ასევე დაულლელად გავიდა ტურნირის ბარაქიანი მეპირველე ქალი ჯენიფერ კაპრიატი, ვინაც თვისტომ მარისა ირვინს სძლია — 6:3, 6:4.

„თავს საკმაოდ კარგად ვგრძნობ და მჯერა, ტურნირიდან ტურნირამდე თამაშს ვაუმჯობესებ. იმედია, პიკს ამ კორტებზე მივაღწევ, ზუსტად ისევე, როგორც ეს შარშან იყო" — უთქვამს მერე.

ამათგან განსხვავებით უკვე მესამე წრეშია მეორე ნომრად განთესილი და პირველ დღეებში შხაპუნა წვიმებს გადარჩენილი ვინუს უილიამსი. ვინუსმა უმცროსი შავლის მსგავსად პარიზული პუბლიკის დაპყრობა განიზრახა და კორტზე უმოკლესი და უქათქათესი კაბით გამოცხადდა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ვინუსმა პუბლიკაც დაიპყრო და ინდონეზიელი მეტოქე ვინე პრაკუსიაც, რომელსაც 6:0, 6:1 აგემა.

შავდათა სხეულებრივ მშვენებასა და ტუალეტობრივ ღიდებულებაზე არანაკლებ იქ შეკრებილი მილეთი გუსტავო კუერტენის ჩვეულმა ჯადო-გარეჯამ დაატყვევა. სამგზის მეროლანგაროსე სეტებით 1:2 აგებდა ჭაღარა და მარჯვე იტალიელ დავიდე სანგვინეტისთან, მაგრამ შემდეგ ზენა ძალებს გამოუხმო და ბოლო სეტებში ისეთი შემართებითა და სინატიფით ითამა, რომ მის ცქერას დასტურ არაფერი სჯობდა.

თუკი უილიამსებისა და გუგაბიჭის ხილვის ბედნიერება ქომაგს, სულ მცირე ერთი წრე კიდევ ექნება, მესამე დღემ პუბლიკის ორი რჩეული გაიყოლა. ამერიკული ჩოგბურთის უკვე ამოსული იმედი და ტურნირზე მე-13 ნომრად განთესილი ენდი როდიკი, ვინაც თავისი ჭაბუკური სიშუშპრითა და დაუდეგრობით მრავალთა სიმპათიას იმსახურებს, 5-სეტიან განდაგანში ახმახმა ავსტრალიელმა უეინ ართურსმა დაჩოგნა.

აი, ანა კურნიკოვა კი — და მეორე რჩეული სწორედ იგი გახლავთ — თავის ასმერადაც უსახელო ტურნირიდან ავსტრალიელმა ნაკვალიფიკაციევმა კრისტინა უილერმა აოტა. 70-იანი წლების უსექსუალურეს, მძლავრად მოტიტვლებულ ზედა-ქვედაში გამოშხვართულ სექსანას თამაშს ჩვეულებისამებრ უხვი ლიანგი და ტრიბუნებიდან ნატყორცნი სექსგალიზიანებული შეძახილები კი ახლდა, მაგრამ არ ახლდა მთავარი — რუსი გოგოს ოსტატობა, რაც, მართალია, ისე-რა, მაგრამ ოდესღაც ქალთა ზეათეულში მოსახვედრად მაინც საკმარისად ჰქონდა.

სამაგიეროდ — კორტებზე შეფენილ ფრანგობას გული არ დასწყვიტა და ყაზახ ირინა სალიუტინას ორ სეტშივე გაუსწორდა 2000 წლის ჩემპიონი მარი პირსი. ბედნიერი ვარ აქ ყოფნით და იმაზე მეტად არაფერი მინდა, ორი წლისწინანდელი ტრიუმფი გავიმეორო, აი, ეგეთ რამეს ამბობდა მერე. თუმცა თავად სჯეროდა ამ სიტყვებისა თუ არა, ამის შესახებ არც სააგენტოები იუწყებიან რამეს და არც კოდელმა ნინამ უნდა იცოდეს.

პირსისგან განსხვავებით ჩოგნები შალითებში დროზე ადრე ჩაალაგეს სამგზის ჩემპიონმა არანჩა სანჩეს-ვიკარიომ და 1996 წლის გამარჯვებულმა ევგენი კაფელნიკოვმა. პირველს პირწმინდად გადაუარა თვისტომმა მარტა მარერომ (6:0, 6:1), ხოლო მეორეს დიდი ჩოგბურთიდან წასვლის ფიქრები არგენტინელ მარიანო საბალეტასგან ძლევის (7:6, 2:6, 6:4, 7:6) მერე მოეძალა.

არანჩას ალრუგაძევებასთან ერთად როლან გაროსმა დაკარგა თავის ისტორიაში ერთი ყველაზე წარმატებული ბანოვანი, ვინაც ტურნირზე მისი 16 გამოსვლისას 6 ფინალში ითამაშა, 10-ჯერ ნახევარფინალში, 13-ჯერ მეოთხედფინალში და აქამდე არასოდეს დამარცხებულიყო პირველსავე წრეში. იგი მეორეა იქ მოგებული მატჩების რაოდენობით და 72 შეხვედრაში გამარჯვებული ოდენ შტეფი გრაფს ჩამორჩება, 84 თამაში რომ მოუგოია.

პარიზულ სეფეთიხნარზე არანჩამ პირველად 1987 წელს ითამაშა და იქაურობისადმი თავისი გამორჩეული სიყვარული მერე იმითაც გამოხატა, რომ ორი უსაყვარლესი ძაღლიდან ერთს როლანი უწოდა, მეორეს კი — გაროსი!

მოკლედ — ორევუარ, არანჩა!

თუმცა ორევუარი კიდევ ერთი გამორჩეული პიროვნებისთვისაც გვეთქმის. იგი წლევანდელი მეავსტრალიე ტომას იოჰანსონი გახლავთ, რომელიც პირველ წრეში არგენტინელი ფრანსისკო სკილარის დამარცხების მერე ისე ბაქიბუქობდა, ფინალამდე მაინც უნდა მისულიყო და, რომელიც — ვაგლახ — ისეთი ფინაჩი მეთიხნარეა, რომ 7 საროლანგაროსო მცდელობიდან მესამე წრისთვის ვერც ერთხელ მიუღწევია.

სხვაფრივ — ჩამოთვლილთა გარდა, კაც განთესილთა ამქარს მოაკლდნენ: მაროკოელი იუნეს ელ აინაუი (16) — მეორე წრიდან ის ესპანელმა ალბერტ მონტანესმა დაითხოვა (7:5, 7:6 (7:2), 6:4) და ბელარუსი მაქს მირნი (26), რომელსაც ამერიკელმა სისილ მამიტმა აჯობა 6:3, 6:4, 5:7, 6:4.

ქალ განთესილთაგან კი სლემტიტულისთვის ბრძოლას ველარ განაგრძობენ პირველ წრეში ესპანელი კონჩიტა მარტინესისგან 7:6 (10:8), 6:3 ძლეული ამერიკელი მეგენ შონესი (12), იტალიელი ფრანჩესკა სკიავონეს მიერ 6:4, 6:2 გაბუნძულებული ებრაელი ანა სმაშნოვა (21), ავსტრალიელი ევი დომინიკოვიჩისგან მოულოდნელად 6:3, 6:2 გაპანღურებული მსუყე ამერიკელი გოგო ალექსანდრა სტივენსონი (28) და მეორე წრიდან ოტებული, 1997 წლის ჩემპიონი ხორვატი ივა მაიოლი, რომელსაც ამ ბოლოდროინდელი ხელმეორედ დაბადებაზე ტრაბახი და სიაფანდი რამ-რუმე ჩოგანზე სლოვაკმა ლუდმილა ჩერვანოვამ შეახმო 4:6, 6:3, 6:0.

სულ ბოლოს კი აი, რა ვთქვათ — ფრანგმა ჟურნალისტებმა აილეს და როლან გაროსის „ლიმნის პრიზი", რაიც ყველაზე უკმურ და ინტერვიუებისას ყველაზე უხიაგ მეჩოგნეს მიეცემა, მსოფლიოსა და ტურნირის მეპირველე ლეიტონ ჰიუიტს მიართვეს. გუსტავო კუერტენმა მათგან ყველაზე სამართლიანი ანუ მოფეარპლეო მოთამაშისთვის დათქმული „ფორთოხლის პრიზი" მიიღო, ხოლო „კურთხევის პრიზი" წლის ყველაზე იმედისმომცემ მოთამაშეს, პატარა ფრანგ უფლისწულ რიშარ გასკეს ერგო.

**ლევან ბელაშვილი**



„კამერუნელი" სერენა უილიამსი



არანჩა სანჩეს-ვიკარიოსგან სახელიდა დარჩა

REUTERS

## 30 მაისი

### ვაჟები

მეორე წრე

**მარატ საფინი** (2, რუსეთი) — ოლივიე როშუ (ბელგია) 4:6, 6:2, 3:6, 6:3, 6:3; **ტომი ჰაასი** (3, გერმანია) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 6:4, 6:4; **ანდრე აგასი** (4, აშშ) — დავიდ სანჩესი (ესპანეთი) 4:6, 6:2, 6:1 (სანჩესმა შეწყვიტა); **ქსავიე მალისი** (ბელგია) — ტიმ ჰენმანი (6, ბრიტანეთი) 6:2, 3:6, 7:6 (7:4), 6:3; **სებასტიან გროჟანი** (10 საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 6:4, 3:6, 6:2, 7:5; **ხუან კარლოს ფერერო** (11, ესპანეთი) — ნიკოლა კუტელო (საფრანგეთი) 6:2, 5:7, 1:6, 6:2, 6:0; **ირჟი ნოვაკი** (14, ჩეხეთი) — იენს კნიპშილდი (გერმანია) 6:1, 6:2, 7:5; **პარადორნ შრიჩაფანი** (ტაილანდი) — ტომას ენკვისტი (19, შვედეთი) 6:4, 1:6, 7:5, 6:3; **პოლ-ანრი მატიე** (საფრანგეთი) — ფაბრის სანტორო (23, საფრანგეთი) 7:5, 6:1, 1:6, 6:4; **გილერმო კორია** (არგენტინა) — რაინერ შუტლერი (24, გერმანია) 6:4, 6:2, 6:3; **ტომი რობრედო** (25, ესპანეთი) — ოლეგ ოგოროდოვი (უზბეკეთი) 6:3, 4:6, 6:1, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (29, არგენტინა) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 6:3, 6:4, 6:0; **ჰიჩამ არაზი** (მაროკო) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:2, 6:1, 6:2

### ქალები

მეორე წრე

**ჯენიფერ კაპრიატი** (1, აშშ) — ემი ფრეზიე (აშშ) 6:4, 6:3; **ელენა დოკიჩი** (7, იუგოსლავია) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 3:6, 7:6 (9:7), 6:2; **სილვია ფარინა ელია** (9, იტალია) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 7:6 (8:6), 6:4; **იროდა ტულიაგანოვა** (14, უზბეკეთი) — კრისტინა უილერი (ავსტრალია) 6:1, 6:4; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ბარბარა შეტი (16, ავსტრია) 5:7, 6:3, 7:5; **ტამარინე ტანასუგარნი** (17, ტაილანდი) — იანა კანდარი (გერმანია) 6:4, 1:6, 6:3; **პატი შნიდერი** (20, შვეიცარია) — ტატიანა გარბინი (იტალია) 6:3, 6:2; **ჟანეტ ჰუსაროვა** (სლოვაკეთი) — აი სუგიამა (26, იაპონია) 6:2, 1:6, 6:2; **მარი პირსი** (საფრანგეთი) — კრისტინა ტორენს ვალერო (32, ესპანეთი) 6:3, 6:1; **ანიკო კაპროში** (უნგრეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:8 (3:7), 7:6 (7:1), 6:2

# ირაკლი ლაბაძემ სასლემო გამარჯვება დააჭაშნიკა

### პირველი წრე. 29 მაისი

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — ჟულიენ ბუტე (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 5:7, 6:7 (6:8), 6:3, 9:7



ირაკლი ლაბაძე

თუკი როლან გაროსის მესამე დღის შედეგებს გულდაგულ გასცნობიხართ, მაშინ იმასაც შეამჩნევდით, რომ ასეთი დაძაბული მატჩი იმ დღეს არც ერთ წყვილს არ გაუმართავს. 5 სეტი იქით იყოს და, ამის გარდა გუშინწინ შეხვედრა არ შემდგარა, რომელიმე მეტოქეს 4 სეტში გასამარჯვებლად 7 ან 7-ზე მეტი გეიმის მოგება დასჭირვებოდა. ერთი სიტყვით, ქართველს დიდი ბრძოლა გადახდა, რათა გზიდან მსოფლიოში რანგით 46-ე ჟულიენ ბუტე ჩამოეშორებინა და კარიერის პირველი სასლემო გამარჯვება მიეთვალა.

ეს ის ბუტეა, არნო კლემანთან ერთად წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის მეწყვილეთა ნახევარფინალს რომ მიაღწია და იქ მხოლოდ თვისტომთა — მიშელ ლოდრასა და ფაბრის სანტოროს წყვილთან დათმო, ხოლო ჰამბურგის მასტერსის მესამე წრეში, ამ 12 დღის წინ, უნიჭიერესი ამერიკელი ჭაბუკი ენდი როდიკი რომ გააკვირვა უჩვეულოდ აგრესიული, ბადესთან მიძალებული თამაშით.

რაც შეეხება ლაბაძეს, დიდი სლემის ტურნირებიდან მას აქამდე მხოლოდ წლევანდელ ავსტრალიაზე ეთამაშა და იქ პირველ წრეში ზიმბაბველ ბაირონ ბლეკთან, სხვათა შორის, ასევე 5-სეტიან შეხვედრაში (6:4, 6:4, 3:6, 3:6, 5:7) დამარცხდა.

წლეულს ირაკლიმ კიდევ რამდენსამე ტურნირში მიიღო მონაწილეობა და სხვა მეტ-ნაკლებად ძლიერ მოთამაშეებს შორის ბრუსტის ტურნირის ნახევარფინალში სახელოვან ფრანგ სედრიკ პიოლინსაც მოუგო (2:6, 6:4, 7:6 (8:6). ლაბაძემ საბოლოო ჯამში საკუთრივ ტურნირის მოგებაც შეძლო, მაგრამ რაკილა ბრუსტული მაგარსაფარი სა-ATP-ო რიგისა არ გახლავთ, მის საჩემპიონთარბოლო მონაგარს არაფერი შემატებია.

თუმცა წლევანდელ ჩემპიონთა რბოლაში მას მაინც 101-ე ადგილი უკავია, ხოლო 52-კვირიან მცოცავ რეიტინგში, რის მიხედვით განისაზღვრება კიდეც მოთამაშის ადგილი ამა თუ იმ ტურნირზე, ლაბაძე 86-ე საფეხურზეა.

### მეორე წრე. 30 მაისი

**გასტონ გაუდიო** (31, არგენტინა) — ლაბაძე 6:1, 6:2, 6:7 (9:11), 6:4

მეორე წრეში ჩვენიანს ტურნირზე 31-ე ნომრად განთესილი ჩაუქი არგენტინელი, გაუჩოთა შორის უძლიერესი, გასტონ გაუდიო დაუპირისპირდა. გაუდიომ პირველ წრეში ქილვაშებიანი და ჯანიანი ესპანელი ხუან ბალსელსი დაამარცხა — 6:4, 6:2, 7:5, ჩვენი გამორჩეული ყურადღება კი მას უფრო ადრე, გვიან აპრილსა და მაისის დასაწყისში მიუპყრია, როცა მიჯრით ბარსელონურ და პალმადემალიორკულ ტურნირებზე იმარჯვა.

სუსტად ჩატარებული პირველი სეტების შემდეგ — რაიც ალბათ უფრო გადაღლილობის ბრალი იყო — ლაბაძემ მაინც გამონახა ძალები, რათა ჯიშად მეთიხნარე მეტოქისათვის შეუპოვარი ბრძოლა გაემართა და ერთი სეტი წაეგვარა კიდეც. იოლად გაუდიოს არც გადამწყვეტი სეტი რგებია — რომ არა წინა დღის დამქანცველი შეხლა ბუტესთან, ვინძლო, ირაკლის ჩოგნის მესამე წრეში გაჭენვაც მოუხერხებოდა.





# ორიოდ საათიც

დიახ, რამდენიმე საათიც და დაიწყება ყველაფერი. დაიწყება ფეხბურთი, მსოფლიო თასის გათამაშება, რომელსაც ამდენი ხმაური, ჭორი და თვით ფიფას კონგრესი უსწრებდა წინ. სეულში ჩატარებულ ამ სკანდალურ ღონისძიებას, ცხადია, საზეიმო გახსნა უძღოდა, რომელშიაც კორეელმა მოცეკვავეებმა იაქტიურეს. თავად კონგრესზე კი საცეკვაო არაფერი იყო, ზეპ ბლატერმა კამერუნელი ისა ჰაიატუ დაამარცხა და ოთხი წლით შეინარჩუნა ტახტი.

სეულის ქუჩებში კი ბევრად უფრო მხიარულობენ, ვიდრე კონგრესზე. სუვენირების მაღაზიის პატრონი შინ ჰანა ხალისით წარმოგვიდგენს საფეხბურთო ბინოკლს, რომელიც, თურმე ნუ იტყვით, ისე კარგად იყიდება. გიეონგბოკგუნგის სასახლისკენ კი მიეშურებიან ოცდარვაწლის წინანდელი მსოფლიო თასის ფინალის მონაწილენი, ფრანც ბეკენბაუერი და იოჰან კრუიფი. ამ სასახლეში საგანგებო ცერემონიალი, „კეთილი ნების ბურთის ფინალისკენ გაგორება" უნდა გაიმართოს. კორეელებმა 32 გიგანტური ბურთი დაამზადეს, რომელთაგან თითოეული თითო მონაწილის სახელზე ჩამოდგა ამ სასახლის წინ.



სეულსვე ჩასულა ჩემპიონატის მეორე მასპინძლის, იაპონიის უფლისწული ტაკამადო პრინცესა ჰიშაკოსთან ერთად და ეროვნულ სასაფლაოსაც სწვევია. უფლისწული ჩემპიონატის საზეიმო გახსნას უნდა დაესწროს. ამ დროს სენდაის ქუჩებში ჯიბეებში ხელებჩაწყობილს გამოუსეირნია იტალიის ნაკრებს და ერთი ამბავიც ამტყდარა. მალაიზიელებს კი, რომლებსაც ფეხბურთი არ უვარგათ, მაგრამ ძალიან უყვართ, დიდი ხანია დევიდ ბექემზე დაუდგამთ თვალი და აკი გამოუშვიათ კიდეც ბექემიანი სატელეფონო ბარათები.








სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კილაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა ლევაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge